გაზეთი ბევრისა, „ვერსია“ ერთი

# ვერსია

ფასი 50 თეთრი

№63 (958) 16 - 17 ივნისი, 2014 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

## საცხოვრებელი კომპლექსი დასრულებულია

კომპანიამ პროექტი დათქმულ ვადაზე 4 თვით ადრე დაასრულა

გვ.7

# რას გეგმავს არასაპარლამენტო ოპოზიცია



ხმის მისაცემად მისული ძაღლი, საარჩევნო „დრესკოდი“, ტუალეტში ჩავარდნილი საარჩევნო ბეჭედი და პირჯვარგადასახული ბიულეტენები

გვ.2-4

## „ოცნების“ მერობის კანდიდატების პირველი კომენტარები

## რა დარღვევები დააფიქსირეს ოპოზიციურმა პარტიებმა და არასამთავრობოებმა არჩევნებზე

### კრძალავს თუ არა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება საქართველში ძველი მანქანების შემოყვანას



გვ.6

რატომ დაიწყო ავტობაზარზე კრიზისი — წერილი, რომელიც ყველა მძღოლმა და ავტოდილერმა აუცილებლად უნდა წაიკითხოს

### კრემლი აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის რუსეთის ნაწილად გამოცხადებას გეგმავს?



კახა გოგოლაშვილის პროგნოზები და მიზანდასახულობის დეფიციტი მთავრობაში

გვ.5

### როგორ აწამა რეჟიმის უფროსმა ლევან პაჭკორიამ კატა

გვ.6

### ბენდუქიძის რეცეპტი უკრაინას

რა რეფორმებს სთავაზობს საქართველოს ეკონომიკის ექსმინისტრი „პოროშენკოს ქვეყანას“ კრიზისის დასაძლევად

# რა დარღვევები დააფიქსირეს ოპოზიციურმა პარტიებმა და არასამთავრობოებმა არჩევნებზე

მაია მიშელაძე
ნინო ლურსმანაშვილი

**არჩევნებამდე რამდენიმე საათით ადრე, შუაღამისას, მარტვილის საარჩევნო უბნიდან გატაცებული და ნაგავსაყრელზე „აღმოჩენილი“ საარჩევნო ბიულეტენები; ანაკლიაში, 32-ე უბანზე ჩაშლილი არჩევნები; ბურჯანაძე-კალაძის საარჩევნო დაპირისპირება და ბოლოს, შევარდნაძისდროინდელი „კარუსელი“ — 15 ივნისს, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები ჩატარდა. ამ დარღვევებს შსს-სა და ცენტრალური საარჩევნო კომისიის მყისიერი რეაგირება მოჰყვა და სხვადასხვა პარტიას შორის დღის განმავლობაში დაფიქსირებული აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად, ყველა თანხმდება, რომ არჩევნებმა მშვიდ გარემოში, სერიოზული ექსცესების გარეშე ჩაიარა.**



## ოპოზიციის ბრალდებები

15 ივნისს, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები, როგორც აღვნიშნეთ, ბიულეტენების გატაცებით დაიწყო. კოალიცია „ნინო ბურჯანაძე — ერთიანი ოპოზიციის“ ცენტრალურ ოფისში გამართულ ბრიფინგზე კი აღნიშნეს, რომ დარღვევები მარტვილიდან დაიწყო, სადაც 14 ივნისს, სოფელ დოშაყეში ხელისუფლების წარმომადგენლები ცდილობდნენ, მოსახლეობისთვის დაერიგებინათ ფქვილი, მაგრამ იმის გამო, რომ ფქვილის მიღება ბევრმა მოისურვა, სხვა გადაწყვეტილება მიიღეს და ნიღბიანმა პირებმა ღამის 2-3 საათამდე, 16 უბნის ბიულეტენები გაიტაცეს. გატაცებული ბიულეტენები ნაგავსაყრელზე იპოვეს...

ნინო ბურჯანაძის შემდეგ დარღვევებზე ყურადღება ნაციონალურმა მოძრაობამაც გაამახვილა. ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ინფორმაციით, ზუგდიდის რაიონის 32-ე უბანში (ანაკლია), ერთ-ერთი გარდაცვლილის, აბულაძის ნათესავების შეჭრის გამო, არჩევნები ჩაიშალა. ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლების ინფორმაციითვე, დიცსა (38-ე უბანი) და არბოში (39-ე უბანი), ირაკლი ღარიბაშვილის ბიძამ, რამაზ ყორანაშვილმა ერთიანი ნაციონალური მოძრაობის კანდიდატს, ალექსანდრე ჯალაბაძეს შეუთვალა, რომ ბიულეტენების ჩაყრას აპირებს და მისმა წარმომადგენლებმა ხელი არ შეუშალონ.



ნაციონალების ცნობითვე, ბოლნისის 48-ე უბანზე (ტალავერის თემი) მათი პარტიის წარმომადგენელს მაჟორიტარობის კანდიდატის ძმამ, აბას აბასოვმა სამკერდე ნიშანი ჩამოაგლიჯა, რის გამოც საუბნო კომისიის თავმჯდომარე უბანზე აღარ უშვებდა.

დღის მეორე ნახევარში, „ქართული ოცნების“ საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელმა, **კახა კალაძემ** განაცხადა, რომ ზოგიერთი ოპოზიციური ძალა ცდილობს, ვითარება დაძაბოს: **„ისინი ავრცელებენ ინფორმაციას, თითქოს, „ქართული ოცნების“ მხარდამჭერები კანონდარღვევით აწარმოებენ აგიტაციას და ზეგავლენას ახდენენ ამომრჩევლის ნებაზე. გვინდა, განვმარტოთ, რომ არჩევნების დღეს, წინასაარჩევნო აგიტაცია და საარჩევნო სუბიექტების სააგიტაციო ატრიბუტიკის გამოყენება აკრძალულია მხოლოდ კენჭისყრის შენობაში. ის, რომ ჩვენი აქტივისტები აწარმოებენ კენჭისყრის შენობის გარეთ, უბანზე გამოცხადებული ამომრჩევლების დამატებით აღრიცხვიანობას, კანონდარღვევა არ არის და სრულად შეესაბამება საარჩევნო კოდექსის მოთხოვნებს. მსგავსი ქმედება არჩევნებში მონაწილე ნებისმიერ პოლიტიკურ სუბიექტს შეუძლია განახორციელოს, ვისაც ამომრჩეველთა აქტივობის შესახებ ინფორმაციის ოპერატიულ რეჟიმში მიღება სურს“.**

კალაძის თქმითვე, არჩევნები მშვიდ და დემოკრატიულ გარემოში მიმდინარეობს, რასაც, როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო დამკვირვებლებიც ადასტურებენ: **„ადგილი ჰქონდა რამდენიმე დარღვევას და ინციდენტს, რომელთა აღმოფხვრა საარჩევნო ადმინისტრაციებმა და შესაბამისმა უწყებებმა დროულად მოახერხეს და პროცესი ჩვეულ რეჟიმში გაგრძელდა. სამართალდამცველებმა ინციდენტებზე სწრაფი რეაგირება მოახდინეს და ყველა შემთხვევაზე მიმდინარეობს გამოძიება“.**

„ბურჯანაძე — ერთიანი ოპოზიციის“ ლიდერმა, **ნინო ბურჯანაძემ** „ქართული ოცნების“ შტაბის ხელმძღვანელი კახა კალაძე არაკომპეტენტურსობაში დაადანაშაულა: **„მინდა, ფეხბურთელ კალაძეს ვუთხრა, რომ ძალიან ბევრი კარგი ფეხბურთელი ყოფილა იტალიის ნაკრებში, მაგალითად, ბაჯო და მასზე ბევრად უკეთესებიც, მაგრამ არავის გადაუწყვეტია ნორმალურ ქვეყანაში არც მინისტრობა, არც ვიცე-პრემიერობა და არც პოლიტიკოსებისთვის პოლიტიკის სწავლება, მით უფრო, იურისტებისთვის იურისტობის სწავლება“.**

ბურჯანაძის განმარტებით, „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები ნამდვილად არღვევენ კანონს, რადგან საარჩევნო კოდექსის 51-ე მუხლის მე-16 პუნქტი არჩევნების დღეს ზურგსუკან საკუთარი ნომრის დაფიქსირებას კრძალავს და ამის გამო შარშან „ქართული ოცნება“ დაჯარიმდა, რის შემდეგაც დავით საგანელიძემ ვითარება სასწრაფოდ გამოასწორა და საბრიფინგე ოთახიდან საარჩევნო ნომერი მოხსნა.

დაახლოებით, 14:00 საათზე, საქართველოს ლეიბორისტული (შრომის) პარტიის ლიდერმა, **შალვა ნათელაშვილმა** ცენტრალური საარჩევნო კომისიის შენობის წინ ბრიფინგი გამართა და იქ შეკრებილებს ამცნო, რომ ხელისუფლებამ 1 500 000 ლარის ღირებულების „ვისკი“ შეიძინა სასაჩუქრედ: **„ამ არჩევნებში გაიმარჯვებს ლეიბორისტული პარტია, სხვა შედეგებს არ მივიღებთ და არ ვაღიარებთ! ხმების გაყალბების შემთხვევაში, ხელისუფლებას ვაფრთხილებ, რომ თქვენს ფეხქვეშ მიწა დაიწვება და ბიულეტენები გადაითვლება! ჩვენ გაყალბებას არ დავუშვებთ, საზოგადოებას კი მოვუწოდებ, 20:00 საათზე, როდესაც არჩევნები დასრულდება, საარჩევნო უბნები არ დატოვონ, რათა ხმების გაყალბება არ დავუშვათ!“**

არასაპარლამენტო ოპოზიციამ გაყალბებული ბიულეტენები ზუგდიდში აღმოაჩინა. პარტიის პრესსამსახურის ინფორმაციით, ზუგდიდის ოლქში, სოფელ დარჩელში, 42-ე უბანზე, არასაპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლებმა კენჭისყრის ოთახის გვერდით, გაყალბებისთვის გამზადებული 500 ბიულეტენი აღმოაჩინეს. არასაპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლების მოთხოვნით, არალეგალური ბიულეტენები გაანადგურეს.

ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლების განცხადებით, ქუთაისში, ე.წ. კარუსელის ფაქტები დაფიქსირდა. როგორც ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლები აღნიშნავენ, ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს, რომ არჩევნები გააყალბოს.

**„მინდა, მივმართო ყველა უწყებას, რომ ამ დარღვევებზე შესაბამისი რეაგირება განახორციელონ. არჩევნებზე აქტივობა საკმაოდ დაბალია და ამიტომ ხელისუფლება გაყალბების გზას მიმართავს. 45-ე საარჩევნო უბანზე, არასამთავრობო ორგანიზაცია „ადამიანის უფლებათა საერთაშორისო საზოგადოება“ ეხმარებოდა ადამიანთა ჯგუფს, რომ მეორედ მიეცათ ხმა და მსგავსი ფაქტები თითქმის ყველა უბანზეა“,** — განაცხადა ნაციონალური მოძრაობის წევრმა, **გიორგი თევდორაძემ**.

ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერმა, გიორგი კანდელაკმა, 18:00 საათზე, პარტიის ცენტრალურ ოფისში გამართულ ბრიფინგზე, აღნიშნა, რომ ქუთაისის მსგავსად, „კარუსელი“ მარნეულის 25-ე უბანზეც დატრიალდა, სადაც შევარდნაძისდროინდელი მეთოდი გამოიყენეს და საარჩევნო ყუთში ბიულეტენები ჩაყარეს. ამავე უბანზე ნაციონალური მოძრაობის წევრებმა დააფიქსირეს ადამიანი, რომელიც ამომრჩევლებს კაბინაში მიჰყვებოდა და აიძულებდა, საარჩევნო ბიულეტენებში „41“ შემოეხაზათ. მარნეულის 35-ე უბანზე, შევარდნაძისდროინდელი, ყოფილი პოლიციელი დამკვირვებელს ემუქრებოდა. კანდელაკის თქმით, ანალოგიური დარღვევები დაფიქსირდა დმანისში, ზუგდიდსა და ბათუმშიც.

გიორგი კანდელაკის მსგავსად, შევარდნაძისეულ „კარუსელზე“ ნაციონალური მოძრაობის კიდევ ერთი ლიდერი ზურაბ ჭიაბერაშვილიც ალაპარაკდა, რომელმაც მეტი დამაჯერებლობისთვის, საზოგადოებას ორი ვიდეო წარუდგინა. ერთში, რომელიც ნაძალედევის რაიონში, 113-ე სკოლაში განთავსებულ 24-ე საარჩევნო უბანთანაა გადაღებული, ჩანს სამარშრუტო ტაქსი, რომლითაც ჭიაბერაშვილის მტკიცებით, „ქართულ ოცნებას“ საკუთარი ამომრჩეველი მიჰყავს; მეორე ვიდეო ისნის რაიონის 58-ე უბანზეა გადაღებული, სადაც ამომრჩეველს, საკუთარი გვარის გასწვრივ ხელმოწერა უკვე დაფიქსირებული დახვდა. ჭიაბერაშვილის თქმით, ამ ამომრჩევლის ხმა ხელისუფლებამ გააყალბა.

იმის გამო, რომ 15 ივნისს ამომრჩეველთა დაბალი აქტივობა დაფიქსირდა, ხელისუფლების მიერ საარჩევნო „კარუსელის“ გამოყენებაზე არასაპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენელი კახა კუკავაც ალაპარაკდა, თუმცა იქვე განაცხადა,, რომ ვითარებას სრულად აკონტროლებს და, თუ ხელისუფლება ხმების გაყალბებას შეეცდება, ყველაფერს გააკეთებს, კონკრეტულ უბანზე განმეორებითი არჩევნები ჩატარდეს.

„საქართველოს გზის“ ლიდერმა, სალომე ზურაბიშვილმა კი ხელისუფლება გააფრთხილა, რომ მისი პარტიის წარმომადგენლები ხმის დათვლის დროს, განსაკუთრებულ ყურადღებას გამოიჩენენ.

კოალიცია „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ოპონენტები ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისა და „ქართული ოცნების“ დისკრედიტაციის მიზნით, არარსებულ ფაქტებს იგონებენ, რასაც ერთი დამკვირვებელიც არ ადასტურებს. „ქართული ოცნების“ პრესსპიკერი გიორგი გეგეჭკორი ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერის, გიორგი კანდელაკის განცხადებას გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ შეუძლებელია, ხელისუფლებას მარნეულში „კარუსელი“ დაეტრიალებინა მაშინ, როცა ეთნიკური დაპირისპირების თავიდან აცილების მიზნით, „ქართულმა ოცნებამ“ ამ რაიონში მაჟორიტარობის საკუთარი კანდიდატი მოხსნა.

ეგზიტპოლით, რომელიც ტელეკომპანია „რუსთავი 2“-მა 18:00 საათის შედეგების მიხედვით გამოცხადდა, ირკვევა, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე მოსახლეობის დაბალი აქტივობა დაფიქსირდა. GFK-ს კვლევით, აშკარაა, რომ ყველა დიდ თვითმმართველ ქალაქში მეორე ტური გარდაუვალია. ამავე მონაცემებით, „ქართული ოცნების“ თბილისის მერობის კანდიდატმა, დავით ნარმანიამ ხმების 46.3%, ნაციონალმა ნიკა მელიამ კი 27.2% მიიღო. ტელეკომპანია „იმედის“ ეგზიტპოლების მიხედვით კი, დავით ნარმანიამ ხმათა 52.6% მიიღო, ნიკა მელიამ 23.9%.

„რუსთავი 2“-ის ეგზიტპოლების შედეგებთან დაკავშირებით, ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთმა ლიდერმა, გიგი უგულავამ განაცხადა, რომ 15 ივნისის არჩევნებზე, მოსახლეობამ ხელისუფლებას სრულიად ნათლად დაანახა, რომ მხარს არ უჭერს „ქართული ოცნების“ ტყუილ დაპირებებს, უმუშევრობისა და კრიმინალის ზრდას. უგულავას თქმით, ყველა თვითმმართველ ქალაქში მეორე ტური გარდაუვალია და მოსახლეობა მეორე ტურში კიდევ უფრო ნათლად დაანახებს ხელისუფლებას, რომ ასე გაგრძელება აღარ შეიძლება.

ეგზიტპოლების შედეგებთან დაკავშირებით, განცხადება საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, **ირაკლი ღარიბაშვილმაც** გააკეთა, რომელმაც მადლობა გადაუხადა მოსახლეობას ნდობისთვის და სრულიად საქართველოს თავისუფალი, ღია, გამჭვირვალე და დემოკრატიული არჩევნების ჩატარება მიულოცა:

**„ყველა დიდ ქალაქში, ქართული ოცნების მერობის კანდიდატებმა გამარჯვება მოიპოვეს, ვულოცავ ამ გამარჯვებას. ჩვენ უალტერნატივო ძალა ვართ, დიდი კონკურენციის ფონზე, ეს გამარჯვება სამართლიანად და დამაჯერებლად მოვიპოვეთ. რაც შეეხება მცირეოდენ დარღვევებს, შესაბამისმა უწყებებმა მყისიერი რეაგირება მოახდინეს და დარწმუნებული ვარ, გამოძიებას ბოლომდე მიიყვანენ. ამ არჩევნებით ხელისუფლებამ კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა ევროპისკენ, ეგზიტპოლების შედეგების მიხედვით, კოალიცია „ქართულმა ოცნებამ“ ყველა დიდ თვითმმართველ ქალაქში გაიმარჯვა, მაგრამ ეს მხოლოდ კოალიციის კი არა, საქართველოს გამარჯვებაა! პირველად, საქართველოს ისტორიაში, ჩვენ მივიღეთ მრავალპარტიული საკრებულოები, მაგრამ ეს მხოლოდ ეგზიტპოლების მონაცემებია, ახლა, მთავარია, არჩევნების ოფიციალურ შედეგებს დაველოდოთ!“**

*დასასრული მე-4 გვერდზე*

15 ივნისის ქრონიკა

# „ოცნების“ მერობის კანდიდატების პირველი კომენტარები

რუსუდან შელია
557-100-768

**15 ივნისს, ცესკო-ში პირველი ბრიფინგი 11:00 საათზე ჩატარდა — ცესკო-ს სპიკერმა, ეკა აზარაშვილმა, პირველ რიგში, საზოგადოებას საქართველოს მასშტაბით ყველა საარჩევნო უბნის გახსნისა და კენჭისყრის პროცესის დაწყების შესახებ ამცნო, მოგვიანებით კი, არჩევნებში ჩართულ მხარეებს საარჩევნო კანონმდებლობა შეახსენა, რომლის მიხედვითაც, კენჭისყრის შენობაში აგიტაცია, ტელევიზიებსა და რადიოებში ფასიანი თუ უფასო რეკლამების განთავსება, ამასთან, საარჩევნო დღის 20:00 საათამდე საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგების გამოქვეყნება იკრძალება.**



ცესკო-ს პირველივე პრესკონფერენციაზე მარტვილის 16 საარჩევნო უბანზე დაფიქსირებული დარღვევის შესახებ განიმარტა, სადაც ღამის 2 საათისთვის, ნიღბიანმა პირებმა საარჩევნო ბიულეტენები გაიტაცეს და სადაც არჩევნები ხელახლა ჩატარდება. განმარტებები მოვისმინეთ ზუგდიდის საარჩევნო ოლქის, ანაკლიის 32-ე უბანზე დამტვრეულ საარჩევნო ყუთებზეც, სადაც ზუგდიდის საოლქო საარჩევნო კომისიის წარმომადგენლები ვითარებას შეისწავლიან.

ამომრჩეველთა აქტივობის შესახებ პირველი მონაცემები 12:30-ზე გამოქვეყნდა.

ამ დროისთვის ამომრჩეველთა აქტივობის მიხედვით, რაჭა-ლეჩხუმი ლიდერობდა, სადაც არჩევნებში მონაწილეობა ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 30,8%-მა მიიღო. ყველაზე დაბალი აქტივობა კი თბილისში დაფიქსირდა — 12,8%. რაც შეეხება თბილისის რაიონებს, 12:00 საათისთვის ყველაზე მაღალი აქტივობა დიდუბეში დაფიქსირდა — 13,8%, ყველაზე დაბალი — ისანში, სადაც არჩევნებში ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 11,5%-მა მიიღო მონაწილეობა. ეკა აზარაშვილის განცხადებით, დღის ამ მონაკვეთში, არჩევნებში მონაწილეობა, საქართველოს მასშტაბით, 571 123 ამომრჩეველმა მიიღო, რაც ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 16,65%-ია. ამასთან, ცესკო-ში გამართულ ბრიფინგზე სპიკერმა ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის შემცირებაზეც ისაუბრა და განმარტა, რომ 1 მაისის მონაცემებთან შედარებით, ამომრჩეველთა სია 43 024-ით შემცირდა — მოქალაქეები, რომლებმაც პირადობის დამადასტურებელი ერთ-ერთი დოკუმენტი დროულად არ აიღეს, კენჭისყრაში მონაწილეობას ვერ მიიღებდნენ. შესაბამისად, ვინც აღნიშნული პროცედურა არ გაიარა, მათი მონაცემები იუსტიციის სამინისტროს ცესკო-სთვის არ გადაუცია.

ცესკო-ში მორიგი ბრიფინგი, დაახლოებით, სამ საათში, 16:00 საათისთვის გაიმართა. ეკა აზარაშვილის განცხადებით, 15:00 საათის მონაცემებით, არჩევნებში მონაწილეობა 992 712-მა ამომრჩეველმა მიიღო, რაც ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის მხოლოდ 28.94%-ია. თუ ამ მაჩვენებელს 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნების მონაცემებს შევადარებთ, დაახლოებით, 4%-იან შემცირებას მივიღებთ — საპრეზიდენტო არჩევნებზე, 15:00 სთ-სთვის 32% დაფიქსირდა. რეგიონებში კი, 15:00 საათზე ცესკო-ს ინფორმაციით, ამომრჩეველთა აქტივობა ასეთი იყო: აჭარა — 30,3%, გურია — 41%, იმერეთი — 30,8%, კახეთი — 29%, მცხეთა-მთიანეთი — 31,6%, სამეგრელო-ზემო სვანეთი — 34,6%, სამცხე-ჯავახეთი — 35,8%, ქვემო ქართლი — 25,5%, შიდა ქართლი — 26,6%.

ცესკო-ს მონაცემებითვე, ამომრჩეველთა აქტივობამ 17:00 საათისთვის 34.64%-ს მიაღწია, რაც ნიშნავს, რომ საქართველოს მასშტაბით სასურველ კანდიდატს ხმა 1 188 215-მა ადამიანმა მისცა. აღნიშნული მაჩვენებელიც 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებთან შედარებით, დაბალია, რადგან დროის ამავე მონაკვეთში, მაშინ ამომრჩეველთა აქტივობა 39%-ს აღწევდა.

რეგიონების მიხედვით, ამომრჩეველი ისევ რაჭა-ლეჩხუმში აქტიურობდა, სადაც 17:00 საათისთვის არჩევნებზე ხმა ამომრჩეველთა 52,8%-მა დააფიქსირა. დედაქალაქში კი დროის ამ მონაკვეთშიც ამომრჩეველი პასიურობდა, რადგან ხმა, ცესკო-ს მონაცემებით, 29,3%-მა მისცა. რაც შეეხება სხვა რეგიონებს, 17:00 საათისთვის ამომრჩეველთა აქტივობა ასე გამოიყურებოდა: გურია — 47, 4%, სამცხე-ჯავახეთი — 42,3%, სამგრელო-ზემო სვანეთი — 40,3%, მცხეთა-მთიანეთი — 38%, იმერეთი — 36,1%, აჭარა — 36%, კახეთი — 35,3%, შიდა ქართლი — 32,2%, ქვემო ქართლი — 31%.

საქართველოში ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები 20:00 საათზე დასრულდა, შესაბამისად, ქვეყნის მასშტაბით ყველა საარჩევნო უბანი სწორედ ამ დროისთვის დაიხურა. როგორც „ვერსიას“ ცესკო-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში განუცხადეს, დარღვევებთან დაკავშირებით უწყებაში კონკრეტული საჩივრები ჯერჯერობით არ შესულა.

ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე საქართველოს ამომრჩეველმა 12 მერის, 59 გამგებელისა და 71 საკრებულოს 2088 წევრის არჩევას მისცა ხმა. წელს, „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ რეფორმირების ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილებით, მერები პირდაპირი წესით აირჩიეს 12 თვითმმართველ ქალაქში: თბილისში, რუსთავში, თელავში, მცხეთაში, გორში, ახალციხეში, ქუთაისში, ამბროლაურში, ოზურგეთში, ზუგდიდში, ფოთსა და ბათუმში. ასევე, პირდაპირი წესით, თვითმმართველი თემის 59 გამგებელი აირჩა. კანონით, მერები, გამგებლები და საკრებულოს წარმომადგენლები სამი წლის ვადით აირჩევიან.

**„ვერსია“** რეგიონებში „ქართული ოცნების“ მერობის კანდიდატებს დაუკავშირდა:

**ავთანდილ ნემსიწვერიძე, მცხეთაში „ქართული ოცნების“ მერობის კანდიდატი:** — ჩვენი ინფორმაციით, მცხეთაში არჩევნებზე ამომრჩეველთა 54%-ზე მეტი მოვიდა, თუმცა საბოლოო შედეგებს დაველოდებით. ისე, არჩევნებმა საკმაოდ მშვიდ გარემოში ჩაიარა.

**დავით ჯიქია, რუსთავში „ქართული ოცნების“ მერობის კანდიდატი:** — რუსთავში, დაახლოებით, 38 ათასი ამომრჩეველი დაფიქსირდა, რაც აქტივობის მაღალი მაჩვენებელი არაა, მაგრამ ზოგადად, ადგილობრივ თვითმმართველობის არჩევნებში საზოგადოება მაღალი აქტივობით არ გამოირჩევა. მცირე დარღვევები იყო, თუმცა საგანგაშო არაფერი მომხდარა... მეორე ტურის ალბათობას გამოვრიცხავ, რადგან კარგად მაქვს შესწავლილი მოსახლეობის განწყობა და ეგზიტპოლების შედეგებსაც არ ვენდობი.

**ირაკლი გოგოხია, ზუგდიდში „ქართული ოცნების“ მერობის კანდიდატი**: — ზუგდიდში ამომრჩეველთა აქტივობა მაღალი არ ყოფილა. მართალია, რამდენიმე მცირე ინციდენტი დაფიქსირდა, მაგრამ მთავარია, არჩევნებმა მშვიდ ვითარებაში ჩაიარა. საზოგადოებისგან მხარდაჭერას არჩევნებამდეც ვგრძნობდით, ამიტომ ზუგდიდში მეორე ტურის ალბათობას გამოვრიცხავ. პირიქით, საბოლოო, საკმაოდ მაღალი მაჩვენებელს დავაფიქსირებთ.

**ირაკლი კაკულია, ფოთში „ქართული ოცნების“ მერობის კანდიდატი**: — ფოთში ეგზიტპოლების შედეგების მიხედვით 50%-ზე მეტი ხმა მივიღეთ, ამიტომ არჩევნები პირველივე ტურში დასრულდება.

**გიორგი ერმაკოვი, ბათუმში „ქართული ოცნების“ მერობის კანდიდატი**: — მიუხედავად იმისა, რომ ბათუმში მცირე ექსცესები დაფიქსირდა, თითოეული კანდიდატი თანხმდება, რომ არჩევნებმა მშვიდ გარემოში ჩატარდა. ამომრჩეველთა აქტივობა განსაკუთრებით მაღალი არ ყოფილა, თუმცა მოსახლეობის დიდმა ნაწილმა ეს შესაძლებლობა გამოიყენა.

პოლიტიკური თამაშები

# რას გეგმავს არასაპარლამენტო ოპოზიცია

გიორგი გიორგაძე

**ტრადიციულად, წლევანდელ არჩევნებშიც „გადამწყვეტი სიტყვა“ ეგზიტპოლებს ეკუთვნის. ყოველ შემთხვევაში, მას შემდეგ, რაც გამოკითხვის შედეგები გამოქვეყნდა, მმართველმა გუნდმა გამარჯვების ყიჟინა დასცა, ოპოზიციამ, უფრო სწორად კი, ე.წ. საპარლამენტო ოპოზიციამ ანუ ნაცმოძრაობამ სიამაყით განაცხადა, რომ ნაციონალები არათუ რადარიდან გაქრნენ, არამედ, თბილისსა და საქართველოს ყველა დიდ ქალაქში მერის სავარძლის დასაკავებლად მეორე ტური გაიმართება.**

ისე, ჩვენთვის რომ ვთქვათ, მეორე ტურს, ამ შემთხვევაში, გადამწყვეტი მნიშვნელობა არც აქვს, რადგან ფაქტი ჯიუტია: ნაციონალური მოძრაობა კვლავ მთავარი ოპოზიციური ძალაა. სხვათა შორის, 2012 წლის პირველი ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, როცა „ოცნება“ ხელისუფლებაში მოვიდა, კოალიციის წარმომადგენლები აცხადებდნენ, რომ ნაცმოძრაობა 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე „დამთავრდებოდა“. საარჩევნო კამპანიის დროს, მაშინ პრეზიდენტობის კანდიდატმა და აწუკვე პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა ამომრჩევლის წინაშე ლამის დაიფიცა კიდეც, რომ 27 ოქტომბერს კოჰაბიტაციას წერტილი საბოლოოდ დაესმებოდა, მაგრამ ნაციონალები ადგილობრივ თვითმმართველობის არჩევნებამდე მოვიდნენ, თან ისე, რომ კვლავ მეორე ადგილი დაიკავეს.

15 ივნისს ნინო ბურჯანაძეს ისევ არ გაუმართლა — სამეულში კი შევიდა, მაგრამ მთავარი ოპოზიციონერის სტატუსი მაინც ვერ „გაინაღდა“; ასევე თამაშგარე მდგომარეობაში აღმოჩნდა „ახლებთან“ კოჰაბიტირებული კახა კუკავა, რომელიც ეგზიტპოლის შედეგებს არ აღიარებს და არჩევნების პარალელური დათვლის მონაცემებს ელის.

თვითმმართველობის არჩევნებამდე ცალკეული ექსპერტები პროგნოზირებდნენ, რომ არჩევნების შედეგებს ნაციონალები არეულობისთვის გამოიყენებდნენ. გამორიცხული, ბუნებრივია, არაფერია, მაგრამ ლოგიკას თუ გავყვებით, ნაციონალებს, რომლებსაც მთელი ქვეყნის თვითმმართველობით ორგანოებში მეორე ადგილი გარანტირებული აქვთ, არეულობა რისთვის სჭირდებათ, მით უმეტეს, იმ ფონზე, როცა მათი 9-წლიანი სადიზმი ხალხს კარგად ახსოვს?!

მოკლედ, ნაცმოძრაობა, ალბათ, მეორე ადგილს შეირგებს და „გაიყურსება“.

აი, რაც შეეხება სხვა ოპოზიციურ ძალებს — ბურჯანაძეს, კუკავა-ახლებსა და ლეიბორისტებს, მათ დასაკარგი, ბუნებრივია, ძალიან ბევრი აქვთ — სხვა თუ არაფერი, უახლოესი ორი წლის განმავლობაში, ანუ 2016 წლამდე, ქვეყანა არასაარჩევნო რეჟიმში იცხოვრებს, შესაბამისად, არასაპარლამენტო ოპოზიციის სიცოცხლისუნარიანობა ეჭვქვეშ დადგება, ამიტომაც ზემოხსენებული ლიდერებისთვის ყველაზე კარგი გამოსავალი, ალბათ, ქუჩაში გამოსვლაა.

ისე, ცალკეული სუბიექტები დიდი ხანია მიანიშნებენ, რომ შემოდგომიდან ქუჩის აქციები გააქტიურდება.

ჯერჯერობით, არასაპარლამენტო პოლიტიკური ძალები ქუჩაში გამოსვლას არ აანონსებენ და ამბობენ, რომ ცესკ-ოს ოფიციალურ მონაცემებს დაელოდებიან. მერე კი... ეშმაკმა უწყის, თავში რა აზრი მოუვათ.

ასე რომ, მოვლენების განვითარებას დაველოდოთ...



# რა დარღვევები დააფიქსირეს ოპოზიციურმა პარტიებმა და არასამთავრობოებმა არჩევნებზე

*მე-3 გვერდიდან*

## არასამთავრობოთა თვალით დანახული არჩევნები

**„დარღვევების მიუხედავად, არჩევნები მშვიდ გარემოში წარიმართა, ადამიანებს ჰქონდათ საშუალება, ხმა სასურველი კანდიდატისთვის მიეცათ“, — ასე შეაფასეს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები იმ 7 არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებმა, რომლებიც საარჩევნო პროცესს აკვირდებოდნენ და ფონდის „ღია საზოგადოება-საქართველო“ ინიციატივით ამოქმედებული მედიაცენტრიდან საზოგადოებას ინფორმაციას ნახევარ საათში ერთხელ აწვდიდნენ. აგიტაციის ფაქტები, მარკირების გარეშე თუ არასათანადო დოკუმენტაციით ხმის მიცემა, უბნის არასათანადოდ მოწყობა, უბნებზე სიების არარსებობა ან ეზოში, ხეზე გაკრული სიები, კონკრეტული პარტიების საარჩევნო ნომრით დამშვენებული მაისურებით უბნებზე გამოცხადება... — მსგავსი დარღვევების პარალელურად, ამა თუ იმ რეგიონში სიტყვიერ შეურაცხყოფასაც ჰქონდა ადგილი და ფიზიკურ შეხლა-შემოხლასაც. მიუხედავად ამისა, არასამთავრობო ორგანიზაციების შეფასებით, არც ერთ ფაქტს, არჩევნების შედეგებზე ზეგავლენის მოხდენა არ შეუძლია და თამამად შეიძლება ითქვას, რომ 15 ივნისს, საქართველოს მასშტაბით, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები შედგა.**

დარღვევებსა და ინციდენტებზე ოდნავ მოგვიანებით. მანამდე, იმ შემთხვევებზე მოგახსენებთ, რომლებიც უფრო კურიოზია. აბა, სხვა რა შეიძლება უწოდო, მაგალითად, ფაქტს, როცა ერთ-ერთ საარჩევნო უბანზე, ნინო ბურჯანაძის მხარდამჭერმა ქალბატონმა ლამის სამლოცველო მოიწყო — საარჩევნო ურნას, მოქალაქეებსა და ბიულეტენებს პირჯვარს სახავდა და უფალს ბურჯანაძის წარმატებას ევედრებოდა; რუსთავის №32 საარჩევნო უბანზე კი, უთენია, არც მეტი, არც ნაკლები, ძაღლი გამოცხადდა და კარგა ხანს, მის გაგდებას ვერ ახერხებდნენ. არ ვიცი, ძაღლმა ის გააპროტესტა, რომ ამავე უბანზე ამომრჩეველთა ერთიანი სია საჯაროდ არ იყო გამოკრული თუ უბრალოდ, „მოქალაქეობრივი ვალის“ მოხდა უნდოდა, ფაქტია, კომისიის წევრებმა არც ერთი აცადეს და არც მეორე — არიქა, ამომრჩევლებს დისკომფორტს უქმნის, ემანდ, ვინმე არ დაფრთხეს, არასწორი არჩევანი არ გააკეთოსო და ოთხფეხის გაგდებაში მთელი საარჩევნო უბანი ჩაერთო, თავის დამკვირვებლებითა და კომისიის წევრებით. „პატრიოტი“ ძაღლი დიდი წვალების შემდეგ, გარეთ გამოაბუნძულეს და საარჩევნო პროცესიც განახლდა. გამობუნძულების ბედი, ოღონდ გაცილებით დელიკატურ ფორმაში, ქობულეთში, ჩაისუბნის საჯარო სკოლაში გახსნილ საარჩევნო უბანზე მისულმა გიორგი კერძევაძემაც გაიზიარა — კაცმა მატარებლით ქალიშვილი და სიძე გააცილა და გზად საარჩევნო უბანში შეიარა, ბარემ, ხმასაც მივცემო, მაგრამ ნურას უკაცრავად — „შორტებში“ გამოწყობილ მოქალაქეს კომისიის თავმჯდომარემ იმიჯი დაუწუნა და „შეუსაბამო ჩაცმულობის გამო“ დაუყოვნებლივ მოსთხოვა უბნის დატოვება. ქობულეთელიც დაემორჩილა, იფიქრა, ეტყობა, კარგად არ ვარ საარჩევნო კოდექსში გარკვეულიო, შინ გაბრუნდა, შარვალი დაიგრძელა და მოქალაქეობრივი ვალი მოგვიანებით მოიხადა. ისე, „საარჩევნო დრესკოდი“ ჯერჯერობით არავის დაუწესებია და შესაბამისად, იმ დღეს ბევრმა შორტიანმა გააკეთა სასურველი არჩევანი. მაგალითად, ერთმა ჩემმა ახლობელმა, რუსთავში მოქალაქეობრივი ვალიც მოიხადა და საპასუხოდ, სოციალურ ქსელში დაასტატუსა კიდეც — „ვიყავი არჩევნებზე, არც შორტი გაუპროტესტებია ვინმეს და არც ჟერარდის 8-ნომრიანი მაისური“.

ცუდად დაიწყო საარჩევნო დღე ბათუმში პარტია „რეფორმატორების“ მაჟორიტარობის კანდიდატ ნუგზარ ჯინჭარაძისთვის. ჯინჭარაძე უბნებზე დამკვირვებლების მიყვანას აპირებდა, მაგრამ ვერ შეძლო, რადგან ვიღაც უკბილოდ გაეხუმრა და ავტომობილზე საბურავები დაუხსნა. **„დილის 06:00 საათზე მომაკითხა ბიძაშვილმა. ჩვენი დამკვირვებლები ავტომობილით უნდა მიგვეყვანა. სანამ გამოვიდოდი გარეთ, ბიძაშვილმა მითხრა, ავტომობილს საბურავები არ აქვსო. მეგონა, ხუმრობდა, გავედი და მართლაც საბურავების გარეშე იყო მანქანა“,** — აღშფოთებას ვერ მალავდა ნუგზარ ჯინჭარაძე, რომელმაც მომხდარი პოლიტიკურ ზეწოლად შეაფასა. ფაქტთან დაკავშირებით, შსს-ს ინფორმაციით, საქმეც აღიძრა ქურდობის მუხლით და გამოძიება 177-ე მუხლით მიმდინარეობს.

კურიოზი მოხდა ჭიათურის 56-ე ოლქის 22-ე უბანზეც — კომისიის თავმჯდომარე ისე უფრთხილდებოდა საარჩევნო ბეჭედს, რომელიც მხოლოდ უბნის გახსნა-დახურვის დროს გამოიყენება, რომ საპირფარეშოში შესულმა, უპატრონოდ არ დატოვა და თან წაიღო. დატოვებას ვინ ჩივის, საპირფარეშოში, მთელი პროცესის დროს არ გაუშვა ხელიდან, ვინმემ არ ამცანცლოსო და... მეტისმეტი მონდომების მიუხედავად, ჩაუვარდა ტუალეტში. ფაქტთან დაკავშირებით შედგა შესაბამისი აქტი და საოლქო კომისიამ უბნის კომისიის თავმჯდომარეს ახალი ბეჭედი გადასცა.

ბეჭედი არა, სამაგიეროდ, მთელი საარჩევნო დოკუმენტაცია „დაკარგეს“ ერთ-ერთ უბანზე სამეგრელოში, თუმცა ეს შემთხვევა უკვე კანონდარღვევა იყო. მეტიც, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ხელმძღვანელმა კახა კოჟორიძემ მას ყველაზე საგანგაშო დარღვევაც უწოდა...



„ახალგაზრდა იურისტების“ ინფორმაციით, ანაკლიაში (ზუგდიდის რაიონის 32-ე უბანი) არჩევნები იმ მიზეზით ჩაიშალა, რომ საარჩევნო უბანზე რამდენიმე წლის წინ გაუჩინარებული გოგიტა აბულაძის ოჯახის წევრები შეიჭრნენ. საია-ს მობილური ჯგუფის დამკვირვებლის ინფორმაციით, **„დაახლოებით 10:00 საათზე, ზუგდიდის №32-ე უბანზე გამოცხადდნენ ორი წლის წინ გაუჩინარებული გოგიტა აბულაძის დედა, ცინარა აბულაძე და მისი ნათესავები. ცინარა აბულაძე მისი შვილის საქმეზე გამოძიების ჩატარებას ითხოვდა. უბანზე კენჭისყრა შეწყდა, რადგან კაბინები იყო დამტვრეულია, ყუთიდან ბიულეტენები ამოყრილი და უბანზე იყო გაბნეული“.** შსს-ს ინფორმაციით, მომხდართან დაკავშირებით, გამოძიება, 163-ე მუხლით დაიწყო, რაც საარჩევნო კომისიის მუშაობისთვის ხელშეშლას გულისხმობს.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს“ ინფორმაციით, მარტვილში გაცილებით უმტკივნეულო დარღვევებიც დაფიქსირდა. მაგალითად, საარჩევნო ოლქის №14, №15 და №18 უბანზე მარკირების შესამოწმებელი ფარანი გაფუჭდა და გარკვეული დროის განმავლობაში შემოწმების გარეშე მიმდინარეობდა ხმის მიცემა.

„სამართლიანი არჩევნების“ თავმჯდომარის ინფორმაციით, ზუგდიდში დაფიქსირდა უბანზე აგიტაციის 1 შემთხვევა, უბანზე არაუფლებამოსილი პირის ყოფნის 3 ფაქტი, ზუგდიდის №89 საარჩევნო უბანზე კი გამოვლინდა პროცედურული დარღვევა.

მცირე დარღვევები დაფიქსირდა ქუთაისშიც. №59 ოლქში, 25-ე საარჩევნო უბანზე პირველმა ამომრჩეველმა ხმა საარჩევნო ყუთში საკონტროლო ფურცლის ჩაგდებამდე მისცა. კომისიის თავმჯდომარის განმარტებით, ნაკადის მომწესრიგებელმა ვერ უზრუნველყო ამომრჩევლის კონტროლი.

ხონის საარჩევნო ოლქის №3 უბანზე თავმჯდომარე ერეოდა რეგისტრატორის ფუნქციებში, ბიულეტენებს თვითონ არტყამდა რეგისტრატორის ბეჭედს.

გარდაბნის საარჩევნო ოლქის №25 უბანზე კომისიის მხოლოდ ორი წევრი იყო ადგილზე. უცხო პირები დაუბრკოლებლად მოძრაობდნენ უბანზე, არ ხდებოდა მარკირების შემოწმება. კომისიის წევრების განმარტებით ისინი გვერდზე ოთახში სადილზე იყვნენ გასულები.

მნიშვნელოვანი დარღვევა დაფიქსირდა კასპის №25 უბანზე: ამომრჩეველზე არ გაიცემოდა გამგებლის ასარჩევი ბიულეტენები. ქარელის 25-ე უბანზე „ახალი თაობა — დემოკრატიული საქართველოსთვის“ დამკვირვებლად მონაწილეობდა „ნინო ბურჯანაძე-ერთიანი ოპოზიციას“ საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი მარლენ ლომიტაშვილი. ასევე კასპის №22 უბანზე დამკვირვებლად მონაწილეობდა ამავე საარჩევნო სუბიექტის კასპის გამგებლობის კანდიდატი ვახტანგ გუგულაშვილი“.

ფიზიკური შეხლა-შემოხლა მოხდა მარნეულში, სადაც არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების ინფორმაციით, ნაციონალური მოძრაობის ამომრჩეველს „ქართული ოცნების“ მხარდამჭერები ფიზიკურად გაუსწორდნენ. შემთხვევა 44-ე უბანზე მოხდა. მოგვიანებით, მარნეულში ვითარება კიდევ უფრო დაიძაბა. გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს ხელისუფლებამ თითქმის ყველა უბანზე „ზონდერები“ გაგზავნა, რომლებიც უბნებზე მისულ ამომრჩეველზე ღია ტერორს ახორციელებდნენ. ისიც კი ითქვა, რომ ამ ფაქტების დამადასტურებელი ვიდეოკადრებიც არსებობს, რომლებსაც აუცილებლად გაასაჯაროებენ. მანამდე კი, არასამთავრობოებმა, მარნეულის №39 საარჩევნო უბნის კომისიის წევრები საარჩევნო ურნაში ბიულეტენების მასობრივად ჩაყრაში ამხილეს.

არასამთავრობო ორგანიზაცია „მრავალეროვანმა საქართველომ“ მარნეულში ლეშბადინის №42 საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანი ამხილა — მან ქართულად წერა-კითხვა არ იცოდა და ამომრჩეველთან სათანადო კომუნიკაციას ვერ ამყარებდა. ამ ფონზე, ამავე უბანზე დაფიქსირებული დარღვევები აღარავის გაკვირვებია — საარჩევნო კაბინაში ერთდროულად ორი ამომრჩეველი შევიდა. ერთ-ერთი ასეთი ფაქტის დროს, ვითარებაში ჩაერია კომისიის მდივანი, რომელმაც ამომრჩეველს საარჩევნო ბიულეტენები გამოსტაცა ხელიდან. დამკვირვებლების შეფასებით, კომისიის მდივნის ამ ქმედებით საარჩევნო პროცესის ფარულობა დაირღვა. მარნეულში, საარჩევნო უბნისგარეთ დარღვევებზე საუბრობენ „თავისუფალი ზონის“ წარმომადგენლები. მათი განცხადებით, მარნეულში, თაქალოს საარჩევნო უბანთან, ნაციონალური მოძრაობის მხარდამჭერებს „ქართული ოცნების“ აქტივისტებმა ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს.

ფიზიკური დაპირისპირება მოხდა თბილისშიც. ფონიჭალაში ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ოთხი მხარდამჭერი სცემეს. ფაქტზე სისხლის სამართლის კოდექსის 125-ე მუხლით გამოძიება მიმდინარეობს.

თბილისის მასშტაბით არჩევნების მიმდინარეობას, ძირითადად, არასამთავრობო ორგანიზაციის — „ადამიანი, კანონი, თავისუფლება“ მობილური ჯგუფები აკვირდებოდა. ორგანიზაციამ მთაწმინდის №22 უბანზე დააფიქსირა დარღვევა, სადაც „ქრისტიან-დემოკრატიული სახალხო პარტიის“ წარმომადგენელმა უბნის კონვერტები თვითნებურად აიღო. საბურთალოს 47-ე უბანზე კი ამომრჩეველი ხელმეორედ ცდილობდა უბანზე შესვლას და ხმის მიცემას. მას აღმოაჩნდა მარკირება და არ დაუშვეს უბანზე. მთაწმინდის საარჩევნო ოლქის №15 უბანზე გადასატანი ყუთით ხმის მიცემა მოხდა ისეთი ბიულეტენებით, რომლებზეც არ იყო რეგისტრატორის ხელმოწერა და ბეჭედი. შედეგად გაუქმდა გადასატან ყუთში არსებული ყველა ბიულეტენი; სამგორის საარჩევნო ოლქის №79 უბანზე კენჭისყრის დაწყებიდან 3 საათში აღმოაჩინეს, რომ №117 უბნისთვის განკუთვნილი ბიულეტენებით მიმდინარეობდა ხმის მიცემა, რის შემდეგაც თავმჯდომარემ შეაჩერა კენჭისყრის პროცესი და ფაქტის შესახებ შეატყობინა საოლქო კომისიას. საოლქო კომისიამ ცესკო-სთან შეთანხმებით შეადგინა ოქმი, რომლითაც გაგრძელდა კენჭისყრის პროცესი 117-ე უბნის ბიულეტენებით. რამდენიმე უბანზე სხვა პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით მისცეს ამომრჩევლებმა ხმა, მაგალითად კრწანისის საარჩევნო ოლქის №17 საარჩევნო უბნის წევრმა (რეგისტრატორმა) პირადობის მოწმობის ასლით მისცა ხმა; მთაწმინდის საარჩევნო ოლქის №15 უბანზე ამომრჩეველმა მართვის მოწმობით მისცა ხმა. კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ ამომრჩეველს აღნიშნულის ნება დართო.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ინფორმაციით, აღმოჩნდა, რომ იძულებით გადაადგილებული პირების გარკვეულ კატეგორიაზე არ არის გაცემული დევნილის ახალი მოწმობა, რის გამოც მათ გარკვეული პრობლემები შეექმნათ არჩევნებში მონაწილეობისას. მაგალითად, ხონის №24 უბანზე, იძულებით გადაადგილებული პირები დევნილის ძველი მოწმობებით ცდილობდნენ არჩევნებში მონაწილეობას. ცესკო-ს ინფორმაციით, რადგან ამ პირთა ხელახალი რეგისტრაცია დასრულდა 31 მაისს და ისინი მართლზომიერად იყვნენ რეგისტრირებულნი საარჩევნო სიებში და ამ პერიოდისთვის ვერ მოესწრო მოწმობების გაცემა, ცესკო-მ გასცა რეკომენდაცია, არ შეზღუდულიყო მათი საარჩევნო უფლება და დევნილის ძველი მოწმობის ან დევნილის მოწმობის გარეშე მიეღოთ არჩევნებში მონაწილეობა. არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების აზრით, ცესკო-ს აღნიშნული რეკომენდაცია წინააღმდეგობაში მოდის საარჩევნო კოდექსის მოთხოვნებთან.

ვაკის №19 უბანზე იძულებით გადაადგილებულმა პირმა დევნილის მოწმობის გარეშე მიიღო არჩევნებში მონაწილეობა. საია-ს დამკვირვებელმა აღნიშნულ დარღვევასთან დაკავშირებით საჩივარი წარადგინა“.

„ადამიანის უფლებათა ცენტრის“ ხელმძღვანელის ალეკო ცქიტიშვილის ინფორმაციით, 15 ივნისს, თვითმმართველობის არჩევნებზე სასიამოვნო ფაქტი იყო ის, რომ იმერეთში, ე.წ. სასაზღვრო ზოლთან მდებარე სოფლებშიც, არჩევნებმა მშვიდად ჩაიარა და 2008 წლის შემდეგ, წელს პირველად ჰქონდათ ოკუპირებულ ზონაში მაცხოვრებელ ადამიანებს საშუალება, გადმოსულიყვნენ უპრობლემოდ და მოქალაქეობრივი ვალი მოეხადათ.



# კრემლი აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის რუსეთის ნაწილად გამოცხადებას გეგმავს?

## კახა გოგოლაშვილის პროგნოზები და მიზანდასახულობის დეფიციტი მთავრობაში

რუსუდან შელია
557-100-768

**აფხაზეთში, ანქვაბნის დე ფაქტო ხელისუფლების ცვლილების შემდეგ, ოფიციალური ვიზიტით ერიტრეას სახელმწიფოს ოფიციალური დელეგაცია ესტუმრა, შესაბამისად, გაჩნდა ეჭვი, რომ ოკუპირებული ტერიტორიების დამოუკიდებლობის აღიარება კვლავ აქტუალურია. ქართული სახელმწიფოს საგარეო კურსზე „ვერსია“ ექსპერტ კახა გოგოლაშვილს ესაუბრა.**

— აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარების პროცესი შეიძლება გაგრძელდეს — ყოველთვის გამოჩნდებიან მარგინალური ქვეყნები, მით უმეტეს, ამ მიმართულებით რუსეთი უამრავ ფულს ხარჯავს. საერთოდ, კრემლის ინტერესშია, აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა რაც შეიძლება მეტმა სახელმწიფომ აღიაროს, რათა საქართველოსა თუ საერთაშორისო თანამეგობრობასთან მეტი გონორით ისაუბროს. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ აქტიურად უნდა იმუშაოს... ამ ეტაპზე საგანგაშო მდგომარეობა არ გვაქვს — ერთი-ორი ქვეყნის მიერ ოკუპირებული ტერიტორიების დამოუკიდებლობის აღიარება არაფერს ნიშნავს.

ისე, არ მგონია, აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლებისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარების გააქტიურება კავშირში იყოს. ეს რუსეთს არაფერს მატებს, თან, თუ აფხაზ ხალხს არ შეეშინდა, რომ საქართველო თავს დაესხმის და ტერიტორიულ მთლიანობას სამხედრო აგრესიით აღადგენს, რუსეთის შემადგენლობაში შესვლის სურვილი არ გაუჩნდება. მათ დამოუკიდებლობა ურჩევნიათ. რუსეთი ოკუპირებული ტერიტორიებით როგორც უნდა გვევაჭროს, საქართველოს ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელმოწერა გარდაუვალია, რასაც საქართველოში რუსეთის მიერ მთავრობის შეცვლისა და პირდაპირი ინტერვენციის გარდა, ვერაფერი შეაჩერებს, თუმცა ეს არ ნიშნავს, ხელმოწერის შემდეგ რუსეთი ბედს შეეგუება. ის ევროკავშირის წევრ ქვეყნებს ეპოტინება, ასე რომ, ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერა უსაფრთხოების გარანტია არაა. მეორე მხრივ, რუსეთს დრო და ძალების გადალაგება სჭირდება. უკრაინის მოვლენების გამო, დაქსაქსულია — ჩრდილოკავკასიაში რთული ვითარებაა, აზერბაიჯანი არ ემორჩილება, ჩინეთთან ურთიერთობა დაეძაბა, რადგან ჩინეთი, ერთი მხრივ, დახმარების ხელს უწვდის, პარალელურად, უამრავ საკითხზე ევაჭრება. მიუხედავად ამისა, რუსეთს საქართველოს წინააღმდეგ საკმარისზე მეტი რესურსი აქვს. მთავარია, მოვლენების ყველანაირი განვითარებისთვის მზად ვიყოთ.

**— ბატონო კახა, კონკრეტულად, რა საფრთხეებს გულისხმობთ?**

— მაგალითად, აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთს რუსეთის ნაწილად გამოაცხადებს, საქართველოსთან ვაჭრობას გააუქმებს. გვეტყვის, ევრაზიულ კავშირს ვქმნი და თქვენთან თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი არ მაწყობსო. ვიზებს გაგვიუქმებს, ფულად გადარიცხვებს შეაჩერებს, ემბარგოს დაგვიწესებს და ვიდრე მსოფლიო ორგანიზაციაში ვიჩივლებთ, რუსეთი თავისას მიაღწევს.

**— ყველაფერი ეს საქართველომ ერთხელ უკვე გაიარა!**

— პარალელურად, საქართველოში მეტ ფულს დახარჯავს, შესაბამისად, ევრაზიული კავშირის შექმნის მომხრეები მომრავლდებიან. ამასთან, პოლიტიკურ ძალებსაც მეტ დაფინანსებას გამოუყოფს. რუსეთს ჩვენ წინააღმდეგ კიდევ ერთი იარაღი აქვს — სამცხე-ჯავახეთი. დივერსიების მოწყობას სხვა ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რაიონებშიც შეეცდება. საქართველოში ფულით ბევრ რამეს გააკეთებს და ამ საფრთხეების გამკლავებისთვის ძლიერი და კოორდინირებული მთავრობაა საჭირო.

**— მთავრობაში კოორდინაცია არაა?**

— კოორდინაციის, პროფესიონალიზმისა და მიზანდასახულობის დეფიციტი მთავრობაში მართლაც არსებობს, რისი კომპენსირებაც პარლამენტს შეუძლია — მთავრობას პასუხი მაქსიმალურად უნდა მოსთხოვოს და პროგრამებზე 24-საათიან რეჟიმში ამუშაოს. ეს აუცილებელია, რათა ქვეყანა გადარჩეს. სხვათა შორის, რუსეთს კიდევ ერთი ცბიერი მეთოდი აქვს შემუშავებული — პოზიტიური მექანიზმების ამოქმედება. მაგალითად, ევროკავშირსა და ევრაზიულ კავშირს შორის მდგარ საქართველოს ვიზების მოხსნას შესთავაზებს და მოსახლეობას რუსულ პასპორტებს დაურიგებს. მოსახლეობას გაუჩნდება შესაძლებლობა, რუსეთში თავისუფლად გადავიდეს და იმუშაოს. ეს რუსეთსაც აწყობს, რადგან დემოგრაფიული პრობლემები აქვს. მოსახლეობის რაოდენობა მცირდება და მუშა ხელი არ ჰყავს, ინვესტიცია და ფული — ბლომად. ამასთან, ქართველ სტუდენტებს, რომლებსაც სწავლის გადახდის შესაძლებლობა არ აქვთ, მოსკოვის უნივერსიტეტში სწავლას დაუფინანსებს. მოგვიანებით, იქვე სამსახურს შესთავაზებს და საქართველოში მყოფი ოჯახის წევრებსაც მოიმადლიერებს.

თუ რუსეთმა საქართველოს წინააღმდეგ ეს გზა აირჩია, ეს იმას ნიშნავს, რომ მასზე ეკონომიკურად დამოკიდებული სახელმწიფო გავხდებით, თან ამ მეთოდით ქვეყანაში გავლენის გაზრდა ხმაურს არ იწვევს, ომი კი რუსეთს არ სჭირდება.

**— თუ ამ საფრთხეებს საქართველოში აანალიზებენ, რატომ მივყვებით პუტინის გეგმას და რატომ ვსაუბრობთ რუსეთში ექსპორტის გაზრდაზე?**

— შეუძლებელია, ამ გეგმას არ მიჰყვე, არასწორიც იქნება, რადგან ღარიბი ქვეყანა ვართ, რუსეთი კი მდიდარი და ვერაგი სახელმწიფოა, რომელიც მოსახლეობის გადასაბირებლად ყველა რესურსს გამოიყენებს. მშიერ და ღარიბ ხალხს გიორგი სააკაძეობას ან მაია წყნეთელობას ვერ მოსთხოვ! ადამიანები, პირველ რიგში, იმაზე ფიქრობენ, შვილები როგორ გამოკვებონ, სად დაასაქმონ და საბოლოოდ, იმ სახელმწიფოში ყოფნას ამჯობინებენ, სადაც უკეთ ცხოვრობენ. გლობალიზაციის ეპოქაში ვცხოვრობთ, სამშობლოსთვის თავგანწირვას ვერავის მოვთხოვთ. რუსულ პასპორტებს ეთნიკური უმცირესობებიც მაშინვე მიიღებენ, რადგან არ გვაქვს პოლიტიკა, რომლითაც მათ ჩვენი სახელმწიფოს მიმართ ლოიალობით დავაინტერესებთ.

**— ქართველებისთვის რუსეთის მასობრივად შეყვარების პროცესი უკვე დაწყებულია?**

— რა თქმა უნდა, რუსეთმა ეს პროცესი დიდი ხანია დაიწყო. ორი მიმართულებით გვიტევს და საბოლოოდ, იმას გააძლიერებს, რაც უფრო ეფექტურად იმუშავებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, საქართველოში მცხოვრებ ადამიანს რეალურად სჯერა, რომ 2008 წელს რუსეთმა ქვეყანა სააკაშვილის რეჟიმისგან გაათავისუფლა? ფაქტია, ასეთებს წლების განმავლობაში ამუშავებდნენ და ფულს უხდიდნენ. რუსეთში საკმაოდ ბევრი ქართველი ბიზნესმენია, რომელთა გამოყენებაც ჩვენს წინააღმდეგ საკმაოდ ადვილად შეიძლება. ყველამ იცის, რომ რუსეთი ავტორიტარული, „კაგებეშნიკური“ სახელმწიფოა, სადაც, თუ ადამიანი ფულს აკეთებს და თავს კარგად გრძნობს, სპეცსამსახურების დავალების შეუსრულებლობის შემთხვევაში, არ გაახარებენ.

**— ახლა ბიძინა ივანიშვილზე მიანიშნებთ თუ ლევან ვასაძეზე?**

— ბიძინა ივანიშვილზე დარწმუნებით ვერაფერს ვიტყვით, რადგან იგი რუსეთიდან 2000 წელს წამოვიდა. ლევან ვასაძე კი მუდმივად ევროპის გარყვნილებაზე საუბრობს, რუსეთზე ნეგატიური განცხადება ჯერ არ გაუკეთებია. შესაბამისად, მისი საუბრები რუსეთისთვის ზიანის მიყენებას არ ემსახურება. ისე, არ გამოვრიცხავ, იმდენად ნარცისი იყოს, აქტუალურ საკითხებზე საუბრით, ეკრანზე გამოჩენა უხარია. ბიზნესმენების გამოყენებას სხვა კუთხით ვგულისხმობდი: მაგალითად, ნინო ბურჯანაძის პარტიას რუსეთში მყოფი ქართველი ბიზნესმენის საშუალებით დააფინანსებს, რადგან პირდაპირ თავად ვერ გამოჩნდება.

**— რუსეთის გააქტიურების ფონზე, დასავლეთი საქართველოში რა როლს შეასრულებს?**

— დასავლეთში საქართველოს მხარდაჭერა გაძლიერებულია, მაგრამ ჩნდება კითხვა: რამდენად საკმარისია ეს მხარდაჭერა? რუსეთი ღიად აცხადებს, რომ ევრაზიულ კავშირს ქმნის და ასოცირების ხელშეკრულება მისთვის მიუღებელია, ამიტომაც უკრაინის, მოლდოვასა და საქართველოს წინააღმდეგ ღია შანტაჟი დაიწყო. სომხეთი თავისთან „წაიყვანა“. დასავლეთშიც სწორედ ამ წუთიდან დაფაცურდნენ — ევროპული დელეგაციები ასე ხშირად სწორედ ამიტომ ჩამოდიან. აგვისტოს ომის დროს დასავლეთიდან ორაზროვანი განცხადებები კეთდებოდა. რუსეთსა და საქართველოს შერიგებისკენ მოუწოდებდნენ.

**— ბატონო კახა, ექსპრეზიდენტმა სააკაშვილმა განაცხადა, რომ ეუთო-ს წარმომადგენლად ტალიავინის გაგზავნით, უკრაინას „გაუჩალიჩეს“ და რუსეთი წყლიდან მშრალი ამოვა...**

— ტალიავინი გამოცდილი დიპლომატია, უბრალოდ, აგვისტოს ომის პერიოდში საქართველომ საინფორმაციო ომი წააგო — რუსეთი ჩვენზე ბევრად მომზადებული აღმოჩნდა, თან ომიც სწრაფად დამთავრდა, არც ასოცირების პროცესში ვიყავით ჩართულნი. ისიც გასათვალისწინებელია, რომ საქართველო, უკრაინისგან განსხვავებით, ევროპასთან შორსაა და პატარა სახელმწიფოა. ე.წ. სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთშიც კონფლიქტი დიდი ხნით ადრე დაიწყო, შესაბამისად, სიმართლის დადგენაც გართულდა და ტალიავინს სხვა გამოსავალი არ ჰქონდა. ყირიმში კი ყველაფერი თეთრი ძაფითაა ნაკერი — იქ კონფლიქტი არც ყოფილა, რუსეთმა რეფერენდუმი ყველანაირი იურიდიული მხარის დარღვევით გამოაცხადა და ყირიმი მიიერთა. ტალიავინი რუსეთის გამართლებას ვერ გაბედავს. უკრაინის მოვლენების შემდეგ, გეოპოლიტიკური სურათიც შეიცვალა: დღეს ევროპა და აშშ რუსეთს ღიად ეუბნებიან, საქართველო ჩვენია და თავი დაანებეო, რაც ადრე ნამდვილად არ იგრძნობოდა. თუ ვითარება ვერ მოგვარდება და რუსეთი ჩვენ დაპყრობას მაინც მოინდომებს, დასავლეთი თვალს აღარ დახუჭავს.

**— სანამ დაპირისპირება სამხედრო აგრესიამდე მივა, რატომ იკავებს დასავლეთი თავს, საქართველო სამხედრო თვალსაზრისით გააძლიეროს?**

— თავდაცვის განვითარებაში დასავლეთი დაგვეხმარება, უბრალოდ, ჩვენგან გარანტიები სჭირდება, რომ აგვისტოს ომის მოვლენები არ განმეორდება და საქართველოსთვის გადმოცემულ ტექნიკას კვლავ რუსეთი არ წაიღებს. ახლა უფრო ჭკვიანური ტაქტიკაა მოსაფიქრებელი და მოიფიქრებენ კიდეც. რაც მთავარია, საქართველოში „კოლექტიური ჭკუა“ უნდა შეიკრას, რათა გონებით ვმართოთ. ინდივიდუალურად ბევრი ჭკვიანი ადამიანი გვყავს, მაგრამ ერთ აზრზე შეთანხმებას ვერ ვახერხებთ, ამიტომ ჩვენი მთავარი პრობლემა მაინც შიდაკონფლიქტებია.

ვერსიანიუსი

# ილია II: „ქართველი ხალხი ახლოს უნდა იყოს თავის ფესვებთან, მამა-პაპათა სამყოფელთან!“



სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში საღმრთო ლიტურგიის დასრულების შემდეგ სრულიად, საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა მრევლს ქადაგებით მიმართა:

**„წყალობა შენი უფალო, თანამავალ მყავ მე ყოველთა დღეთა ცხოვრებისა ჩემისათა“, — ეს სიტყვები უნდა თქვას ყოველმა ადამიანმა, მით უმეტეს, ყოველმა ქართველმა მკვიდრმა საქართველოისი. მე არ ვიცი, რითი ვიმსახურებთ ამდენ წყალობას უფლისაგან. აი, დღეს კიდევ ერთი უდიდესი წყალობა მოგვივლინა უფალმა. დღეს ხელდასხმულია ბელგიისა და ჰოლანდიის ეპისკოპოსი დოსიფეოსი“,** — აღნიშნა კათალიკოს-პატრიარქმა.

პატრიარქის თქმით, მას ყოველთვის აფიქრებდა, უცხოეთში უამრავი ქართველი მიდიოდა და იქ ათეული წლებით რჩებოდნენ. პატრიარქმა აღნიშნა, რომ უფალმა მათ გამოუჩინა საშუალება, უცხოეთში დღეს ბევრი სამღვდელო პირი მსახურობს, გაჩნდა ახალი ეპარქიები და ეს ეპარქიები ჩნდება არა ქართველი ხალხის დასამკვიდრებლად, არამედ სამშობლოში დასაბრუნებლად.

**„ქართველი ხალხი უნდა დაბრუნდეს თავის მიწა-წყალზე, იმიტომ, რომ ქართველი უცხოეთში ვერ ხარობს. ქართველი ხალხი უნდა იყოს ახლოს თავის ფესვებთან, მამა-პაპათა სამყოფელთან“,** — აღნიშნა პატრიარქმა.

უწმინდესმა აღნიშნა, რომ ყოველთა წმინდათა ხსენების დღეს ჩვენთან ერთად ლოცულობდა ყოველი წმინდანი, ლოცულობდა ღვთის წინაშე ჩვენთვის და ახლად გამორჩეული მეუფისათვის.

**„ჩვენ უნდა გავაძლიეროთ ჩვენი ლოცვები და მადლობა შევწიროთ უფალს ამ დიდი წყალობისთვის“,** — ბრძანა უწმინდესმა.

კათალიკოს-პატრიარქმა ამბიონიდან მიმართა ახლად ნაკურთხ მეუფე დოსიფეს და უსურვა მას დიდი მადლი და წყალობა, რათა ეს მადლი გაამრავლოს მან უცხოეთში მყოფ ქართველებს შორის. პატრიარქმა ახლად ნაკურთხ მეუფეს ეპისკოპოსის კვერთხი უბოძა.

***„ინტერპრესნიუსი“***

პატიმრის დღიური

# როგორ აწამა რეჟიმის უფროსმა ლევან პაჭკორიამ კატა



პატიმარი №0578

**ხელისუფლებაში ნაციონალური მოძრაობის ყოფნის დროს, ციხეებში აუტანელი მდგომარეობა რომ იყო, ზოგმა მოყოლით იცის, ძალიან ბევრს კი პირადად აქვს ნანახი. პატიმრები ამ ჯოჯოხეთის გაძლებას სხვადასხვაგვარად ცდილობდნენ. ზოგი ბუზს დაიჭერდა, რამდენიმე დღე პლასტმასის ჭიქაში ჰყავდა და ექსპერიმენტებს ატარებდა, მშიერი რამდენ ხანს გაძლებდა. ზოგიც ტარაკანებს დასდევდა, ვიღაცას თუ გაუმართლებდა და ხოჭოს დაიჭერდა, ნამდვილი ზეიმი ჰქონდა...**

რუსთავის 17 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ერთ დღეს ჩოჩქოლი ატყდა. არავინ იცის, როგორ და რანაირად, მაგრამ 73-ე კამერაში პატიმარმა კნუტი მიიყვანა. დაწესებულების ტერიტორიაზე კატებიც დარბოდნენ, მაგრამ მათი დაჭერა შეუძლებელი იყო. აი, კნუტი კი... თანაც, კატას პატიმრები „ქურდულ ცხოველს“ ეძახდნენ, რადგან კატა, თურმე, „კრისებს“ ჭამს და ძაღლებს გაურბის. ეს ისე, ხუმრობით...

საკითხავი ის იყო, რა უნდა დაერქმიათ კნუტისთვის და როგორ დაემალათ ზედამხედველებისთვის. ეს მეორე თითქმის გამორიცხული იყო, რადგან ჩამშვებებს „ზონაზე“ ვერავინ გამოლევს და მართლაც, მეორე დღეს უკვე ზედამხედველები მოდიოდნენ პაცეს სანახავად. არავინ იცის, რატომ დაარქვეს პაცე, მაგრამ ასე გადაწყვიტა 73-ე კამერაში მჯდომმა „კაი ბიჭმა“ მამუკამ და პაცეს აღზრდაც საკუთარ თავზე აიღო.

დაახლოებით, ერთ თვეში, პაცეს მთელი ზონა იცნობდა და პატივს სცემდა. ჯერ ერთი, კნუტი კამერას არაფრის დიდებით ტოვებდა, თუმცა სხვა კამერებიდან მირთმეულ ნობათს, რაც, ძირითადად, ბალანდაში შემავალ სოსისი გახლდათ, მშვიდად იღებდა. კაცმა არ იცის, სოსისი რისგან იყო დამზადებული, მაგრამ პაცე წუნია არ იყო. პატიმრებმა კატა ძაღლივით გაწვრთნეს — გადაგდებული ნივთი პირით მოჰქონდა, ორ ფეხზე დგებოდა და რაც მთავარია, როგორც კი დაიძახებდა ვინმე, ძაღლები მოდიანო, პაცე მაშინვე ნარის ქვეშ ძვრებოდა და იმალებოდა....

დაახლოებით, ნახევარ წელში, კნუტი პაცე კატა გახდა და დასერიოზულდა. გადაგდებული ნივთები ყველასთვის აღარ მოჰქონდა და თუ დაიძახებდნენ, ძაღლები მოდიანო, ხმის ტემბრის მიხედვით წყვეტდა, უნდა დამალულიყო თუ არა. რამდენიმეჯერ ზედამხედველებმა, ზრდილობის გულისთვის, თქვეს, კატა მოაშორეთო, მაგრამ პაცე უკვე ზონის კოლორიტი იყო და ადვილად ვერავინ ეხებოდა. მის სანახავად დაწესებულების უფროსი, ლაშა ბრეგვაძეც კი მივიდა და როცა დარწმუნდა, საშიში არაფერიაო, ხმა არ გაუღია.

ერთ დღეს, კორპუსზე შემოვლას რეჟიმის უფროსი, ლევან პაჭკორია, იგივე „ნინძა“ ატარებდა. როგორც კი პატიმრებმა პაჭკორია დაინახეს, პაცეს ხმადაბლა გასძახეს, „პაცე, ძაღლები“... პაჭკორიამ ყველაფერი გაიგონა და იმასაც მოჰკრა თვალი, როგორ გაიქცა კატა და როგორ შეძვრა ნარის ქვეშ. საღამოს ზონა დაიკეტა, ღამით კი, 73-ე კამერის კართან ხმაური ატყდა — რეჟიმის წარმომადგენლები კატეგორიულად ითხოვდნენ, პატიმრებს პაცე დაეთმოთ, რადგან ასეთი იყო პაჭკორიას სურვილი. პატიმრებმა ხმაური ატეხეს, გვერდით კამერებს გასძახეს და ორ წუთში პაცეს მხარდასაჭერად მთელი ზონა გუგუნებდა. ეს ყველაფერი ე.წ. შუმოკს დაემსგავსა და რეჟიმმა ადმინისტრაციის შენობაში პაცეს ნაცვლად ერთ-ერთი პატიმარი წაიყვანა. დილით, ყველას მომხდარი აინტერესებდა. პატიმარი პაჭკორიამ უვნებლად დააბრუნა (ეს ის პაჭკორიაა, რომელსაც 4 პატიმარი ადებს ხელს, წელსქვემოთ სწორედ მას შემდეგ მოვწყდით, რაც „ნინძამ“ გვცემაო) და სწორედ იმ პატიმარმა გადასცა დანარჩენებს პაჭკორიას დანაბარები:

— ან პაცე უნდა დავთმოთ, ან არადა, რეჟიმი შემოვა, კამერას დალეწავს და კატას მაინც წაიყვანს. პაჭკორიამ თქვა, პირობას გაძლევთ, სადმე რესტორანთან გავუშვებთ, არაფერი გაუჭირდება, დეპარტამენტმა გაიგო, რომ ზონაზე კატაა და შეიძლება, მომხსნანო.

მეორე დღეს, თავად პაჭკორია მივიდა ზონაზე, ხელში არმატურის ნაჭერი ეჭირა, უკან კი, 20-მდე სპეცრაზმელი მიჰყვებოდა. უხმოდ მიაშურა 73-ე საკანს, ვიღაცამ ისევ დაიძახა, „პაცე, ძაღლები!“ და კატაც უმალ ნარის ქვეშ შეძვრა. „ნინძამ“ მოკლედ მოჭრა, ამაღამ კატა ან ნებით მიმყავს, ან უფლება მაქვს, ეს სპეცრაზმი შემოვიყვანო და ძალით წაგართვათო. საღამოს, „პრავერკის“ შემდეგ, ერთ-ერთმა ოფიცერმა გულზე ახუტებული პაცე პაჭკორიას წაუყვანა...

იმავე საღამოს ორი პატიმარი შეწყალებით გაუშვეს. სწორედ მათ მიაწვდინეს პატიმრებს ხმა, რომ პაჭკორიამ პაცე უკანა თათით ხეზე ჩამოკიდა და არმატურის ნაჭერი ისე შემოარტყა, ლამის შუაზე გაწყვიტა. მკვდარი კატა სანაგვე მანქანაზე შეაგდეს და ნაგავსაყრელს გაუყენეს...

**P.S. ერთხელ, ამავე ზონაზე პატიმრებმა თუთიყუში დაიჭირეს. საჭმელი მზარეულს გამოართვეს, რადგან სააკაშვილის ნაქებ ციხეში თუთიყუშების საჭმლისგან მომზადებული ფაფა უცხო ხილი არ იყო, თუმცა უცოდინრობის გამო, თუთიყუში პოვნიდან მეოთხე დღეს მოკვდა — რომელიღაც პატიმარმა ფრინველი შამპუნით დაბანა და... ტარაკნების, ბუზებისა და ხოჭოების ყოლას ზონაზე არავის უშლიან.**

ეკონომიკა

# კრძალავს თუ არა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება საქართველოში ძველი მანქანების შემოყვანას



## რატომ დაიწყო ავტობაზარზე კრიზისი — წერილი, რომელიც ყველა მძღოლმა და ავტოდილერმა აუცილებლად უნდა წაიკითხოს

მაია მიშელაძე
593-51-90-12

**მთავრობის გადაწყვეტილებით, სატრანსპორტო საშუალებებზე ეკოლოგიური სტანდარტი — „ევრო 4“ ამოქმედდა, რაც ნიშნავს, რომ 2005 წლამდე გამოშვებული ავტომანქანების იმპორტი აზერბაიჯანში აღარ განხორციელდება; ამასთან, საქართველოდან ავტომობილების რეექსპორტი სომხეთშიც შეფერხდება და შესაძლოა, აიკრძალოს კიდეც. მეზობელი ქვეყანა საბაჟო კავშირში გაწევრიანებას გეგმავს, კავშირის წევრი ქვეყნებისთვის კი ერთიანი საბაჟო სისტემა და ტარიფები იმოქმედებს, რასაც მესამე ქვეყნიდან რეექსპორტირებულ ავტომობილებზე საკმაოდ მაღალი გადასახადის დაწესება მოჰყვება. ორივე შემთხვევაში საქართველოში ავტოდილერებს კრიზისი ელის, რასაც ემატება ის, რომ ბოლო დროს, ავტობაზარზე მსუბუქი ავტომობილების ფასი მკვეთრად დაეცა.**

### აზერბაიჯანის მაღალი ეკოლოგიური სტანდარტი

რეგულაცია „ევრო 4“ აზერბაიჯანში 1 აპრილიდან ამოქმედდა — 2005 წლამდე გამოშვებული ავტომობილები მეზობელი ქვეყნის ტერიტორიაზე ვერ მოხვდება. აზერბაიჯანის პრემიერ-მინისტრმა ქვეყნის ეკოლოგიურ სტანდარტ „ევრო 4“-ზე გადასვლის შესახებ ბრძანებას ხელი 2014 წლის დასაწყისში მოაწერა. იმისთვის, რომ ატმოსფეროში ავტომობილის მავნე გამონაბოლქვი შემცირდეს და ქვეყნის ეკოლოგიური მდგომარეობა გამოსწორდეს, იმპორტირებულ და აზერბაიჯანში წარმოებულ ავტომობილებზე ეკოლოგიური სტანდარტი გავრცელდება.

1990 წლის დასაწყისში, ევროპის თანამეგობრობამ შეიმუშავა სტანდარტი, რომელმაც მანქანის გამონაბოლქვით დაბინძურების ხარისხის მაქსიმუმი განსაზღვრა. ამგვარი მიდგომა, წლების შემდეგ, უფრო გამკაცრდა: „ევრო 1“ — 1993 წლამდე გამოშვებულ ავტომობილებს, „ევრო 2“ — 1996 წლამდე წარმოებულებს, „ევრო 3“ — 2000 წლამდე გამოშვებულებს, „ევრო 4“ კი 2005 წლამდე წარმოებულ ავტომობილებს ეხება.

საქართველოდან ავტომობილების რეექსპორტის ერთ-ერთი მთავარი ბაზარი აზერბაიჯანია და, ცხადია, ახალი რეგულაცია ქართველ ავტოიმპორტიორებზეც აისახება. 2013 წელს, საქართველოდან 703 900 000 აშშ დოლარის მსუბუქი ავტომობილების რეექსპორტი განხორციელდა, საიდანაც ნახევარზე მეტი ანუ 380 000 000 აშშ დოლარი, აზერბაიჯანში ექსპორტზე მოდიოდა. სტატისტიკური მონაცემებით, 2014 წლის იანვარში, აზერბაიჯანში ექსპორტირებული მსუბუქი ავტომობილების რაოდენობა და ფულადი მოცულობა შემცირდა. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის, „საქსტატის“ ინფორმაციით, აზერბაიჯანში რეექსპორტირებული ავტომანქანების ღირებულებამ 581 ერთეულით ანუ 6 500 000 აშშ დოლარით იკლო და 20 400 000 აშშ დოლარი შეადგინა. 2013 წლის იანვარში, 26 086 000 აშშ დოლარის ღირებულების 2 096 ავტომობილის ექსპორტი განხორციელდა, 2014 წლის იანვარში კი აზერბაიჯანში მხოლოდ 2 038 მანქანის გაყვანა მოხერხდა. 2013 წლის იანვარ-აპრილში, 213 813 800 აშშ დოლარად, 24 737 ერთეული ავტომობილის იმპორტი და 196 223 000 აშშ დოლარის ღირებულების, 19 695 ერთეული ავტომობილის რეექსპორტი განხორციელდა. 2014 წლის იანვარ-აპრილში — საქართველოში 199 537 400 აშშ დოლარად, 26 329 ერთეული ავტომობილის იმპორტი და 187 960 800 აშშ დოლარის ღირებულების, 20 242 ერთეული ავტომობილის.

ავტომანქანებზე ეკოლოგიური სტანდარტები საქართველოში დაწესებული არ არის. თუმცა 2015 წლის 1 მარტიდან, ყველა კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალება სავალდებულო ტექნიკურ შემოწმებას დაექვემდებარება.

### სომხეთის პოლიტეკონომიკური გადაწყვეტილება

წლების განმავლობაში, საქართველოდან რეექსპორტირებული ავტომობილებისთვის ყაზახეთის ბაზარი პირველ ადგილზე იყო. ორიოდე წლის წინ, ყაზახეთმა, ბელორუსმა და რუსეთმა ერთობლივი კავშირი შექმნეს და დაბეგვრის ახალი სისტემა აამოქმედეს. შესაბამისად, საქართველოდან ყაზახეთში ავტომობილების ექსპორტი აღარ ხორციელდება. ავტომობილების რეექსპორტის მხრივ, საქართველოსთვის მეორე დიდი ბაზარი აზერბაიჯანი იყო, მესამე კი — სომხეთი.

ქართველ ავტოდილერებს საკმაოდ მძიმე კრიზისი ელის. აზერბაიჯანის გარდა, უახლოეს მომავალში, შესაძლოა, საქართველოდან ავტომობილების რეექსპორტი სომხეთშიც შეწყდეს. არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიცია „საზოგადოებრივი ინიციატივას“ წარმომადგენელი **ვასილ ურუშაძე** საკუთარ ბლოგზე წერს, რომ სომხეთი ევრაზიულ საბაჟო კავშირში გაწევრიანებას გეგმავს. სომხეთის საბაჟო კავშირში გაწევრიანების შემდეგ, საქართველოდან იმპორტირებული ავტომობილების ფასი ოთხჯერ გაძვირდება. საქართველოს შემთხვევაში კი, შემცირდება რეექსპორტი, რაც ქართველ ავტოდილერებს სერიოზულ კრიზისს შეუქმნის: **„პირველი დარტყმა ქართველმა ავტოდილერებმა 2011 წელს მიიღეს, როცა საქართველოს უმთავრესი რეექსპორტიორი ქვეყანა — ყაზახეთი ევრაზიულ კავშირში გაწევრიანდა. ამის გამო იმპორტულ ავტომობილებზე განბაჟების საფასური შვიდჯერ მაინც გაიზარდა, შედეგად კი საქართველოდან ყაზახეთში ავტომობილების რეექსპორტი დაიხურა. 2014 წლის აპრილიდან, შეზღუდვები საქართველოს კიდევ ერთმა რეექსპორტიორმა ქვეყანამ — აზერბაიჯანმაც დააწესა. სომხეთის საბაჟო კავშირში გაწევრიანებისა და საბაჟო ტარიფის გაზრდის შემდეგ, საქართველოში შეძენილი ავტომობილების ფასი, რომელთა საშუალო ღირებულება 4 000-დან 5 000 აშშ დოლარამდეა, 15 000 აშშ დოლარამდე გაიზრდება“.**

საკუთარ ბლოგზე ექსპერტი, ასევე, წერს, რომ სომხეთის საბაჟო კავშირში გაწევრიანება ქართველ ავტოდილერებს პრობლემებს შეუქმნის, რადგან რეექსპორტის კუთხით მხოლოდ აზერბაიჯანი დარჩება და ისიც — მკაცრი შეზღუდვებით. ვასილ ურუშაძის განმარტებით, საქართველოში 900 000 რეგისტრირებული ავტომობილია, რომელთა უმრავლესობა მეორადია და ექსპლუატაციის ვადაც ამოწურულია. საქართველოს ავტოპარკის განახლება რეექსპორტის ხარჯზე ხდებოდა. ყაზახეთში, აზერბაიჯანსა და სომხეთში მეორადი ავტომობილები საქართველოდან შედიოდა, რასაც შედარებით ახალი ავტომობილებით ანაცვლებდნენ. შესაბამისად, საქართველოს ავტოპარკი კრიზისის წინაშე დგას, რადგან ბაზარზე ძველი ავტომობილების ფასის ვარდნა გარდაუვალია.

### საქართველოში ავტომობილების ფასი დავარდა

ბოლო დროს, ავტობაზარზე მსუბუქი ავტომობილების ფასი მკვეთრად დაეცა. ავტომობილებით მოვაჭრეები ამბობენ, რომ თუ ადრე, კვირაში, 2-3 მანქანას ყიდდნენ, ახლა, თვეში ერთი მანქანის გაყიდვას ძლივს ახერხებენ. ლოგისტიკური კომპანია „ისტ გეით გრუპის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე **ირაკლი იაშვილი** „ვერსიასთან“ საუბრისას აცხადებს, რომ აზერბაიჯანში ავტომობილების რეექსპორტის შეზღუდვას, სომხეთში კი აკრძალვას, საქართველოს ავტობაზარზე სერიოზული გავლენა ჯერ არ მოუხდენია:

**„საშიშროება, რა თქმა უნდა, არის, რადგან აზერბაიჯანიც და სომხეთიც საქართველოსთვის ძირითადი რეექსპორტიორი ქვეყნებია. მას შემდეგ, რაც სომხეთი ევრაზიულ კავშირში გაწევრიანდება, იმპორტირებულ ავტომობილებზე საბაჟო ტარიფებს გაზრდის. ცხადია, ამის თეორიული საშიშროება არსებობს, მაგრამ ჯერჯერობით გადაწყვეტილება მიღებული არ არის.**

*დასასრული მე-7 გვერდზე*

# „m² იპოდრომთან“ საცხოვრებელი კომპლექსი დასრულებულია



**კომპანიამ პროექტი დათქმულ ვადაზე 4 თვით ადრე დაასრულა**

**m²**-მა წარმატებით და დათქმულ ვადაზე 4 თვით ადრე დაასრულა „**m²** იპოდრომთან“ საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობა. თამარაშვილის №13-ში, , **m²**-ის მიერ ახალაშენებულ საცხოვრებელ კომპლექსში ბინას თუ შეიძინეთ, ჩათვალეთ, ყველა პირობა გაქვთ იმისთვის, რომ კომფორტულად იცხოვროთ. ამაში, ჟურნალისტები, დასრულებული პროექტის პრეზენტაციაზე თავად დარწმუნდნენ — მედიის წარმომადგენლებისთვის, კომპლექსში მედიატური მოეწყო.

კომპლექსის მშენებლობა კომპანიამ 2012 წლის აპრილში დაიწყო. ექსპლოატაციაში მიღების სამუშაოები უკვე დაწყებულია. ივლისში კი, კორპუსების რიგითობის შესაბამისად, ბინების საბოლოო ჩაბარების პროცესი დაიწყება.

პროექტი „m² იპოდრომთან“ ჰოლანდიის განვითარების ბანკმა (FMO) 20 მლნ აშშ დოლარიანი საკრედიტო რესურსით დააფინანსა, საიდანაც კომპანიამ მხოლოდ 10 მილიონი აშშ დოლარი აითვისა. გაყიდვების მაღალი ტემპის შედეგად, შესაძლებელი გახდა აღნიშნული სესხის წინსწრებით, 2013 წლის დეკემბერში დაფარვა. დღეისთვის საცხოვრებელ კომპლექსში ბინების 97% გაყიდულია.

პროექტის სამშენებლო ფართი 60,724 კვ. მეტრია. მშენებლობა უმაღლესი ხარისხის სამშენებლო მასალით განხორციელდა. გარემონტდა 525 ბინა. პროექტში ასევე გათვალისწინებულია 1,375 კვ.მ. კომერციული და 11,047 კვ.მ. მიწისქვეშა ავტოსადგომის ფართი. 6,318 კვ.მ სარეკრეაციო ზონაში კეთილმოეწყო შიდაეზო, სპორტული მოედანი და საბავშვო ზონა. კომპლექსის დასრულების შემდგომი მომსახურება ითვალისწინებს 24-საათიან დაცვას, სადარბაზოების, ლიფტებისა და ეზოს დასუფთავებას, ასევე გამწვანების მოვლას.

m²-ის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის, ირაკლი ბურდილაძის თქმით, ყველა ის პირობა, რომელიც კომპანიამ ამ პროექტით კლიენტებს შეუქმნა, კომფორტული ცხოვრების შესაძლებლობას მისცემს. **ირაკლი ბურდილაძე: „m²-მა, კიდევ ერთი წარმატებული პროექტი დაასრულა. თანაც, ვადაზე 4 თვით ადრე. ეს ჩვენი გუნდის უდიდესი წარმატებაა და ამიტომ, მადლობა გუნდის ყველა წევრს, რომლებიც დაუღალავად მუშაობდნენ ამ სილამაზის შესაქმნელად. ასევე, დიდი მადლობა ჩვენს კლიენტებს, რომლებმაც გვანდეს თავისი ფინანსური სახსრები, რამაც პროექტის ფინანსური სტაბილურობა სერიოზულად გააძლიერა. ისინი ძალიან მალე გადმოვლენ კომფორტულ გარემოში საცხოვრებლად. განსაკუთრებული მადლობა ჰოლანდიის განვითარების ბანკს, რომელმაც პროექტისთვის სოლიდური საკრედიტო რესურსი გამოყო და ენდო ჩვენი გუნდის გამოცდილებას. ჩვენ შევძელით კრედიტის დაფარვა წინსწრებით, რაც გაყიდვების სწრაფმა ტემპმა განაპირობა. მადლობა ჩვენ მომწოდებლებს და ყველა კონტრაქტორს, რომელთა გარეშეც ამ პროექტის განხორციელება შეუძლებელი იქნებოდა“.**

m²-ის პროფესიონალიზმზე, სანდოობასა და კომპანიის მიერ განხორციელებულ წარმატებულ პროექტზე ისაუბრა ჰოლანდიის განვითარების ბანკის წარმომადგენელმა **ევოიენ ტიკენსმა.** მისი თქმით: **„m² ჰოლანდიის განვითარების ბანკის საუკეთესო პარტნიორია. მოხარულები ვართ, რომ კომპანიამ პროექტის ვადაზე ადრე დასრულება შეძლო. ეს იშვიათი შემთხვევაა. ეს ფაქტი და ეს მშვენიერი კომპლექსი m²-ის გუნდის პროფესიონალიზმზე მეტყველებს“.**

კომპანიის წარმომადგენლებმა, ჟურნალისტებსა და სტუმრებს ვიდეოკლიპიც უჩვენეს, სადაც სრულად იყო აღწერილი, „m² იპოდრომთან“ სამშენებლო კომპლექსის მშენებლობის პროცესი. ირაკლი ბურდილაძემ კი, კიდევ ერთი სასიამოვნო სიახლის — m²-ის ობლიგაციების ახალი ემისიის შესახებ განაცხადა, რის შედეგადაც მომხმარებელს კვლავ მიეცემა შესაძლებლობა უკეთ ამუშაოს საკუთარი ფული.

m²-ის ობლიგაციების პირველი გამოშვება განხორციელდა 2014 წლის აპრილში და 1 თვის მანძილზე სრულად განთავსდა. ამასთან, მომხმარებლის მხრიდან მოთხოვნამ მნიშვნელოვნად გადააჭარბა მიწოდებას.

m²-ის ერთწლიანი, აშშ დოლარში დენომინირებული ობლიგაციების ახალი ემისიის მოცულობა 10 მილიონ აშშ დოლარს შეადგენს. ერთი ობლიგაციის ნომინალური ღირებულება კი 1,000 აშშ დოლარია. ნებისმიერი მომხმარებელი, რომელიც საკუთარ თავისუფალ სახსრებს ამ ობლიგაციებში დააბანდებს, 



მიიღებს მაღალ წლიურ საპროცენტო განაკვეთს — 8,42%-ს (გადასახადებით დაბეგვრამდე).

ობლიგაციის გამოშვებით m² ახდენს მისი დაფინანსების სტრუქტურის დივერსიფიკაციას და საქართველოში ამკვიდრებს თანამედროვე ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების პრაქტიკას. კომპანიის მიერ ობლიგაციების გამოშვებას დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყანაში კაპიტალის ბაზრის განვითარების ხელშეწყობისთვის.

***ნინო ლურსმანაშვილი***



*მე-6 გვერდიდან*

**რაც შეეხება აზერბაიჯანს, ეს ქვეყანა მაღალ სტანდარტზე გადავიდა და ახალი რეგულაცია ავტომობილების რეექსპორტს შეზღუდავს. „ევრო 4“-ის სტანდარტის გამო, აზერბაიჯანში ძირითადად იაფფასიანი, მეორადი ავტომობილების რეექსპორტი არ განხორციელდება. შედარებით ახალი, მეორადი მანქანების რეექსპორტი არ შეიზღუდება, მაგრამ ამ კატეგორიის წვრილ მოვაჭრეებს კონსოლიდაცია მოუწევთ. გამორიცხული არ არის, რომ ორი-სამი მოვაჭრე გაერთიანდეს და ერთობლივად შეიძინონ ავტომობილები, რათა მეზობელი ქვეყნის ბაზარზე შეუფერხებლად შევიდნენ“.**

რაც შეეხება ქართულ ბაზარზე მსუბუქი ავტომობილების ფასის ვარდნას, ირაკლი იაშვილმა „ვერსიას“ განუცხადა, რომ ეს ჩვეულებრივი, ეკონომიკური პროცესია. მისივე თქმით, ბაზარზე ავტომობილების მოთხოვნა შემცირდა, რაც მოსახლეობის მსყიდველუნარიანობის შემცირებამ გამოიწვია.

გადავა თუ არა საქართველო „ევრო 4“-ის სტანდარტზე, განსაკუთრებით, 27 ივნისის შემდეგ, როცა ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო რეჟიმის ასოცირების ხელშეკრულებას ხელს მოაწერს? ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა კავშირის თავმჯდომარე **ვანო მთვრალაშვილი** „ვერსიასთან“ საუბრისას აცხადებს, რომ ასოცირების ხელშეკრულება „ევრო 4“-ის სტანდარტის შემოღებას არ გულისხმობს. მისი თქმით, ეს რეგულაცია ევროკავშირის დირექტივა არაა და, შესაბამისად, ეს საკითხი დღის წესრიგშიც არ დგას:

**„ზოგადად, სტანდარტი „ევრო 4“ გარემოსდაცვითი მოთხოვნაა და, ცხადია, როცა საქართველო ევროკავშირის სრულუფლებიანი წევრი ქვეყანა გახდება, ამ სტანდარტის შემოღება მოუწევს, რადგან „ევრო 4“ იმას გულისხმობს, რომ საწვავის წვის ან გამონაბოლქვის შედეგად, ჰაერი არ დაბინძურდეს. რაც შეეხება მეზობელ აზერბაიჯანს, „ევრო 4“-ის სტანდარტზე ეს ქვეყანა ნებაყოფლობით გადავიდა, რადგან ქვეყნის მასშტაბით, ავტოპარკი განეახლებინა და თანაც, ეკოლოგიური მდგომარეობა გაეუმჯობესებინა. მოგეხსენებათ, „ევრო 4“-ის სტანდარტი 2005 წლამდე გამოშვებული ავტომობილების იმპორტს კრძალავს. საქართველოში შექმნილი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, „ევრო 4“-ის სტანდარტზე გადასვლა მყისიერად და ხისტად არ შეიძლება, ეს ხელისუფლებამაც კარგად იცის და შესაბამისად, რადიკალურ შეზღუდვას ან აკრძალვას არ დაუშვებს. ხელისუფლება ამ მიმართულებით ლიბერალური და ლოიალურია, რადგან საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას ძველი ავტომობილი ჰყავს, ახალი ავტომობილების მსყიდველუნარიანობა კი დაბალია და, ამიტომ მთავრობა**

# კრძალავს თუ არა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება საქართველოში ძველი მანქანების შემოყვანას

**ისეთ რეგულაციას არ მიიღებს, რაც მოსახლეობის დიდი ნაწილის უკმაყოფილებას გამოიწვევს“.**

ვანო მთვრალაშვილმა „ვერსიას“ ისიც განუცხადა, რომ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, ქვეყანამ ნელ-ნელა, ეტაპობრივად უნდა დაიწყოს ავტოპარკის განახლებაზე ზრუნვა. მისივე თქმით, დაუშვებელია, რომ საქართველო ძველი ავტომობილების სასაფლაოდ იქცეს, ამიტომ, როცა ქვეყანა ევროკავშირის წევრი გახდება, ძველ ავტომობილებზე გარკვეული შეზღუდვები დაწესდება, რათა ატმოსფერო გამონაბოლქვით არ დაბინძურდეს, ოღონდ ამას მოსახლეობის სოციალური უკმაყოფილება, მით უმეტეს, ავტომობილებით მოვაჭრეთა პროტესტი არ უნდა მოჰყვეს. აქედან გამომდინარე, „ევრო 4“-ის სტანდარტზე გადასვლა დღეს სწორედ ამ მიზეზის გამო არაა აქტუალური.

## ფრთხილად, ავტოთაღლითები!

არცთუ დიდი ხანია, ავტობაზარზე თაღლითების ჯგუფები გამოჩნდა. 21-ე საუკუნეში თაღლითობა არავის უკვირს, მაგრამ თანამედროვე ქართველი „ოსტაპ ბენდერები“ არცთუ მომხიბვლელი, ექსტრავაგანტური და დახვეწილი მეთოდებით გამოირჩევიან, როგორც მე-20 საუკუნის დასაწყისში, საბჭოური სატირის ორმა გამორჩეულმა მწერალმა, ილია ილფმა და ევგენი პეტროვმა ერთობლივ ნაწარმოებებში — „თორმეტ სკამსა“ და „ოქროს კერპში“ აღწერეს.

თაღლითების ჯგუფის თავხედობა იქამდე მივიდა, რომ „თბილისის ფორუმზე“ თემატური ჯგუფიც შეიქმნა: „ფრთხილად, ავტობაზარზე თაღლითები არიან!“ ფორუმზე უამრავ საინტერესო ამბავს წაიკითხავთ, მაგრამ მათ შორის ყველაზე გამორჩეული ავტომობილების რიგითი მოვაჭრის ისტორიაა, რომელიც მედიის სხვადასხვა საშუალებაშიც მოხვდა. ეს ამბავი ერთ-ერთ ფორუმელს გადახდა თავს, რომელიც მართალია, თაღლითებმა ვერ გამოიჭირეს, მაგრამ ეს ისტორია „თბილისის ფორუმზე“ გამოაქვეყნა, რათა ავტომობილების სხვა მოვაჭრეებიც ანალოგიურ გაუგებრობაში არ აღმოჩნდნენ.

ავტოთაღლითები ასეთი სქემით მოქმედებენ: ჯგუფი შუა ხნის ასაკის სანდომიანი სახის ქალბატონისა და მამაკაცისგან შედგება. „მსხვერპლს“ ძირითადად იმ განცხადების საფუძველზე ირჩევენ, რომელიც ავტომობილის გაყიდვას ეხება. დარეკავენ მითითებულ ნომერზე და ავტომობილით მოვაჭრეს შეხვედრას სთხოვენ. მეორე დღეს მიდიან დანიშნულების ადგილზე, მანქანას ათვალიერებენ, მეტი დამაჯერებლობისთვის „ტესტ დრაივსაც“ გაივლიან და ისე, რომ ფასზე არც კი ევაჭრებიან, მანქანის ყიდვას გადაწყვეტენ. გაინტერესებთ, თაღლითების მთავარი, „კოდური“ სიტყვები, რომლებითაც ავტომობილით მოვაჭრეს მიმართავენ? კარგად დაიმახსოვრეთ და თუ ვინმე ასე მოგმართავთ, იცოდეთ, ვიდრე რამე დოკუმენტზე ხელს მოაწერთ, კარგად დაფიქრდით: „რა ნაცნობი სახე გაქვს, საიდანღაც მეცნობი, ჯავახიშვილში ვკითხულობ ლექციებს და იქ ხომ არ სწავლობდი?... ახლა ისეთ საქმეში ვარ, თმა ყალყზე დაგიდგება... ჩემს პარტნიორებს დავურეკავ და თანხას გამოვართმევ“.

მოკლედ, ამ დიალოგის შემდეგ, მეორე დღეს ურეკავენ ავტომობილით მოვაჭრეს და თითქოს ავტოსესხის გასაკეთებლად, შეხვედრას უნიშნავენ. მიჰყავთ რუსთავის ავტობაზრობასთან განთავსებულ მიკროკრედიტის ოფისთან ახლოს, საიდანაც მესამე პირი გამოდის (სავარაუდოდ, მათივე ჯგუფის წევრი), რომელიც გასაყიდ ავტომობილს სურათებს უღებს. ერთი შეხედვით, ავტოსესხის გასაკეთებლად, სინამდვილეში კი, მესამე პირი ავტოლომბარდიდანაა. თუ დავუშვათ, თქვენს ავტომობილს 9 000 აშშ დოლარად აფასებთ, ქალბატონი იქვე 4 000 დოლარის სანაცვლოდ, მანქანის გაყიდვას გადაწყვეტს და გეუბნებათ, რომ თუ დოკუმენტზე ხელს მოუწერთ, დარჩენილ 5 000 დოლარს რამდენიმე დღეში მოგართმევთ. ამ ისტორიის გმირმა ხელი ერთ დოკუმენტზეც არ მოაწერა და თაღლითებს მართლაც სასწაულებრივად გადაურჩა, თორემ ისე გამოვიდოდა, რომ მანქანას მხოლოდ 4 000 დოლარად გაყიდდა, მერე ეს ორი თაღლითი — ქალბატონი და მამაკაცი აორთქლდებოდნენ და რამდენიმე დღეში, საკუთარი ავტომობილის დახსნა ავტოლომბარდიდან მოუწევდა. ფორუმელი წერს, რომ 9 000-დოლარიან მანქანას თაღლითები სავარაუდოდ 7 000 დოლარად დაალომბარდებდნენ, ამ ადამიანს 4 000 დოლარს გადაუხდიდნენ, მაგრამ 3 000 დოლარი „სუფთად“ დარჩებოდათ.

„თბილისის ფორუმზე“ ეს ამბავი იმიტომ დაწერა, რომ, როცა ავტობაზარზე რამდენიმე ახლობელს უამბო, აღმოჩნდა, ავტომობილებით მოვაჭრეებმა თაღლითების სქემა ამოიცნეს. მეტიც, ისიც გაირკვა და ამას ფორუმზეც წერენ, რომ ანალოგიური სქემის გამო, ბევრი მოვაჭრე დაზარალდა, რომელმაც საკუთარი ავტომობილი ლომბარდიდან გამოისყიდა... ჩვენც სწორედ ამ მიზნით ვაქვეყნებთ ამ ისტორიას, რომ ვიდრე რამე დოკუმენტს ან ხელშეკრულებას ხელს მოაწერთ, კარგად და ყურადღებით გაეცანით. ხელი კი მხოლოდ მას შემდეგ მოაწერეთ, რაც დარწმუნდებით, თაღლითობის მსხვერპლი არ ხართ.

# ბენდუქიძის რეცეპტი უკრაინას



## რა რეფორმებს სთავაზობს საქართველოს ეკონომიკის ექსმინისტრი „პოროშენკოს ქვეყანას“ კრიზისის დასაძლევად და ჩაანაცვლებს თუ არა ევროკავშირის ბაზარზე ჩინურ საქონელს უკრაინული

**რუსულ გამოცემა „ოგონიოკში“ სტატია — „რა რეფორმები გამოუწერა უკრაინას კახა ბენდუქიძემ“ — გამოქვეყნდა. სტატიის ავტორი იმ იდეებისა თუ რჩევების ერთგვარ კრებულს გვთავაზობს, რომელიც საქართველოს ეკონომიკის ყოფილმა მინისტრმა, ბოლო სამი თვის განმავლობაში, ლექციებზე ან ინტერვიუების დროს გაახმოვანა. „ვერსია“ „ოგონიოკის“ სტატიას მცირე შემოკლებით აქვეყნებს.**

საქართველოში ლიბერალური რეფორმების ავტორმა, კახა ბენდუქიძემ მიიღო მეორე შანსი, გაატაროს კარდინალური რეფორმები, ამჯერად — უკრაინაში. უკრაინის ეკონომიკური განვითარების სამინისტროსთან ახლადშექმნილ ეკონომიკურ საბჭოში შემავალი 5 წევრიდან, რომელთა შორის კანადელები და ამერიკელებიც არიან, ბენდუქიძე ერთადერთი პრაქტიკოსი-ეკონომისტია, თანაც გამოცდილება პოსტსაბჭოთა რეალობაში აქვს მიღებული. ამ ფონზე, გამორიცხული არაა, ეკონომიკური კრიზისის დაძლევის მისეული ხედვა საბჭოში მყოფმა კოლეგებმა გაითვალისწინონ. რას შესთავაზებს ბენდუქიძე უკრაინას? „ბენდუქიძის რეცეპტი“ კარგად ჩანს მის ლექციებსა და ინტერვიუებში.

### რეფორმების მნიშვნელობა

„ბევრ ქვეყანაში მიმუშავია, მაგრამ ისეთი ცუდი ვითარება, როგორიც უკრაინაშია, არსად მინახავს... უკრაინა, ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) თვალსაზრისით,



საბჭოთა კავშირში წამყვანი რესპუბლიკა იყო — მე-5 ადგილს იკავებდა, მაგრამ შემდეგ მეცხრეზე გადაინაცვლა. მისი ეკონომიკა ძალიან ნელა იზრდებოდა და გადაუსწრო მოლდოვამ და ყირგიზეთმა. პოლონეთს 20 წლის წინ ჰქონდა უკრაინის მსგავსი შემოსავლების მაჩვენებელი, დღეს კი ეს ქვეყანა უკრაინაზე 3-ჯერ მდიდარია. უკრაინას გადაუსწრეს ბულგარეთმა და რუმინეთმაც, რომლებიც ევროკავშირის ყველაზე ღარიბ ქვეყნებად ითვლებოდნენ. დაკარგულია 20 წელი. ამ ხნის განმავლობაში, უკრაინა დაუბრუნდა საწყის წერტილს — მშპ-ს იმ მაჩვენებელს, რომელიც 1990 წელს ჰქონდა. თეორიულად თითქოს გასაგებია, რა უნდა გავაკეთოთ ამ პოლიტიკური თუ ეკონომიკური ვითარების გამოსასწორებლად, მაგრამ ეს ქმედებები ერთმანეთთან შეუთავსებელია. საკითხი ამგვარად დგას: შენარჩუნდება თუ არა უკრაინა და როგორი იქნება? შემიძლია დავეხმარო ქვეყანას, მაგრამ რეფორმები უკრაინელებმა უნდა გაატარონ. უკრაინაში აქამდე არ ყოფილა რეალური რეფორმები, რადგან ხალხს პოპულისტები უყვარს. აქ ირჩევენ მათ, ვინც მეტს ჰპირდება, შემდეგ კი დანაპირების შესასრულებლად, ზრდის გადასახადებს, ბიუროკრატიის მაჩვენებელსა და ენერგოსუბსიდიებს. ხალხი არ მდიდრდება და... ირჩევს კიდევ უფრო დიდ პოპულისტებს. მოჯადოებული წრის გასარღვევად არსებობს ორი ძალა — უკრაინელი ხალხი და ვლადიმერ ვლადიმერის ძე პუტინი. ის, რაც დონეცკში მოხდა, ამ მოჯადოებული წრის პირდაპირი შედეგია. მეუბნებიან, რომ რეფორმა იქნება მტკივნეული, მაგრამ განგრენის დროსაც ხომ იძულებულები ხდებიან, ფეხი მოკვეთონ? უკრაინაც მსგავსი არჩევანის წინაშე დგას, მით უმეტეს, არსად წერია, არც ძველ აღთქმაში, რომ ეს ქვეყანა აუცილებლად უნდა არსებობდეს. ბევრი ცივილიზაცია და ერი აღარ არსებობს — ურარტუ, შუმერები, ხეთები... უკრაინელებზე ახლა ექსპერიმენტი ტარდება ომისშემდგომი მსოფლიოს მოწყობაზე და შეიძლება, ეს ცუდად დამთავრდეს“.

### სწრაფი კურსი

უკრაინის ახალმა ხელისუფლებამ გადაწყვიტა, გაიზიაროს ქართული გამოცდილება: ბენდუქიძესთან ერთად, კიევში იუსტიციის მინისტრის ყოფილ მოადგილეს, გიორგი ვაშაძესაც ელოდებიან თავისი გუნდით. გიორგი ვაშაძე დეპუტატია. პარლამენტში სააკაშვილის პარტიის — ერთიანი ნაციონალური მოძრაობის სიით შევიდა. თბილისის მერობისთვის ბრძოლაც ჰქონდა გადაწყვეტილი, მაგრამ ვერ მოახერხა. სამაგიეროდ, ძველმა მეგობრულმა ურთიერთობამ ვიტალი კლიჩკოსთან, ახალი უკრაინული ალტერნატივა გაუხსნა — ვაშაძემ შესთავაზა უკრაინელებს სახელმწიფო შესყიდვების სისტემის რეფორმირება და მის მიერ შემუშავებული იუსტიციის სახლების კონცეფციის რეალიზება.

იუსტიციის სახლი რუსებისთვის, რომლებიც საქართველოში ბოლო 4 წელია არ ყოფილან, უცხო ტერმინია. სამაგიეროდ, ნაცნობია მსოფლიოში. ინგლისელები მთავრობისგან ითხოვენ, ეს ქართული გამოცდილება მათ ქვეყანაშიც დაინერგოს. იუსტიციის სახლი განთავსებულია შუშის შენობაში, სადაც რამდენიმე წუთში აიღებთ უცხოეთის პასპორტს, ნებისმიერ ცნობას, დაარეგისტრირებთ ბიზნესს... ეს რომ შესაძლებელი გამხდარიყო, ხელისუფლება რამდენიმე წელი ქმნიდა ერთიან საინფორმაციო ბაზას. პროექტი 2011 წელს დაიწყო, სწრაფად განვითარდა და დღეს ასეთი სახლი საქართველოს თითქმის ყველა დიდ ქალაქშია. ისინი, ქართული სიამაყის გარდა, ღირსშესანიშნაობასაც წარმოადგენენ, რადგან თანამედროვე, კომფორტული და ულამაზესი დიზაინით გამოირჩევიან. აქ რიგში დგომა, ყველაზე ხანგრძლივი ბიუროკრატიული ფორმალობის გასაფორმებლადაც კი, მაქსიმუმ, 16 წუთი მოგიწევთ. მინიმალური დრო კი 15 წამია. იუსტიციის სახლების მიმდებარედაა Just Cafe, სადაც იგივე მომსახურებას მიიღებთ, ოღონდ ბარის სტილში — მაგიდასთან, ყავის ან ღვინის სმის პროცესში. არის, ასევე Just Drive — მოქალაქე მიდის ავტომობილით სპეციალურ ტერმინალთან, შეახებს „აიდი ბარათს“ (პასპორტის ქართული ვარიანტი) და იღებს ყველა მანამდე შეკვეთილ დოკუმენტს.

ვაშაძე ამ სასწაულს უკრაინელებსაც პირდება. წლების განმავლობაში, ბიუროკრატიული ლაბირინთებით დახუნძლულ ქვეყანაში ასეთი რამ თუ მართლა გაკეთდა, საოცარი რეფორმების სიმბოლოდ ნამდვილად ჩაითვლება. ეს, სხვა არაფერი, ევრომაიდნის გამართლებაც იქნება.

### ვითარების შეფასება

„როგორ განვითარდება ქვეყანა, თუკი ასეთი დანახარჯი აქვს? საბიუჯეტო სახსრების ეკონომიის კუთხით, უკრაინა ბოლო ადგილზეა. სახელმწიფო ვალი 12,3-დან 45%-მდე გაიზარდა, ბიუჯეტის დეფიციტმა კი შარშან 9% შეადგინა. ამბობენ, ეს ციფრი კიდევ უფრო შემცირებულია. მშპ 5%-ია და აქედან იხარჯება სუბსიდიები ენერგეტიკაზე. ბოლო დროს მუდმივად მესმის სიტყვები: „უკრაინა“, „ვალი“, „დაჭერა“, „კრიზისი“, „გაზპრომი“.... მიყვარს ისეთი მაჩვენებელი, როგორიცაა მეგაჯოული, რომელსაც ხარჯავს ქვეყანა 1 დოლარის მშპ-ს წარმოებაზე. ამ თვალსაზრისით, უკრაინა მეორე ადგილზეა. პირველზე თურქმენეთია, რომელსაც აქვს თავისი გაზი. პოლონეთიც, მიუხედავად იმისა, რომ იქ ზამთარი გაცილებით ცივია, ტერიტორია — ოდნავ ნაკლები და თავისი გაზიც არ აქვს (უკრაინას გაცილებით მეტი საკუთარი გაზი აქვს, ვიდრე პოლონეთს — ნახშირი), უკრაინაზე ნაკლებს ხარჯავს. გერმანიაში, სადაც უკრაინაზე ორჯერ მეტი მოსახლეობაა, ნაკლებ ენერგიას მოიხმარენ, თანაც იქ მშპ 10-ჯერ მეტია. ოხ, ეს მომჭირნე ევროპელები, გაათბობენ ოთახს, შემდეგ, შეძვრებიან პლედებში, დილას კი სახლში ცივა — ეკონომიას აკეთებენ. იქნებ, სწორედ ამიტომ ცხოვრობენ ასე კარგად, რომ ეკონომიას აკეთებენ? დროა, უკრაინაში გამოსწორდეს ვითარება და ამის საუკეთესო მოტივაცია გაზზე მაღალი ფასია... უკრაინა, კორუფციის აყვავების დონით, 144-ე ადგილს იკავებს და ეს ის შემთხვევაა, როცა დისკუსიას, ვინ არის უკრაინაზე უარესად, აზრი არ აქვს. Doing Business-ის ანგარიშით, უკრაინა, ბიზნესის დაწყების თვალსაზრისით 112-ე ადგილზეა (შედარებისთვის: საქართველო მე-8-ზეა); საგადასახადო პრესის სიმკაცრის თვალსაზრისით კი — 164-ეზე. არ ვიცი, არის თუ არა ვინმე უფრო ქვევით. თუ არის, მაშინ ამ ქვეყნებში საგადასახადო ინსპექტორს, ალბათ, კლავენ. ეკონომიის თავისუფლების დონით, უკრაინა 155-ე ადგილზეა. რა გასაკვირია, რომ მისი ეკონომიკა არ იზრდება. რომ გაგზავნოთ საქონელი საქართველოში ექსპორტზე, საჭიროა 4 დოკუმენტი. უკრაინაში კი — 6. რას აკეთებს ეს 2 დოკუმენტი? საქართველოში ქონების დასარეგისტრირებლად საჭიროა 2 დღე. უკრაინაში — 45“.

### რა ვქნათ? — გამოსავალი

„წარსულში ქექვას აზრი რომ არ აქვს, ამიტომაც გამოვეცით საგადასახადო ამნისტია საქართველოში. ამაზე რადიკალური არავის არაფერი გაუკეთებია, მაგრამ ესეც კი არ ნიშნავდა, რომ კანონდამრღვევებს ექნებათ მეორე შანსი. ვინც ვერ გაიგო, სჯიდნენ: 2004 წლიდან საქართველოში მსჯავრდებულთა რიცხვი 5-ჯერ გაიზარდა. უკრაინამ უნდა შეამციროს კორუფციისა და გადასახადების დონე. საქართველოში კორუფციასთან ბრძოლას 3 წელი დასჭირდა. არსებობს მექსიკის საბაჟოს გამოცდილება: 1,5 ათასი ადამიანი დაატრენინგეს და ერთ ღამეში შეცვალეს საბაჟოს პერსონალი. უკრაინას შეუძლია, ეს სცადოს. ასევე, უნდა გადახედოს გადასახადებს, რომლებიც ძალიან მაღალია. გადასახადების დაწევა ეკონომიკის ზრდისა და განვითარებისკენ მიმავალი გზა. არ სჭირდება უკრაინას ყველა შესაძლო ფონდი — საპენსიო, სოცდაზღვევა... ეს ხომ მშრომელთა მოტყუებაა? ხელისუფლებაა პასუხისმგებელი პენსიის გამოწერაზე და რა საჭიროა ცალკე ფონდი? ყველა ფული, საბოლოოდ, მაინც ბიუჯეტში იყრის თავს. საგადასახადო უძრავ ქონებაზე უნდა იყოს ცენტრალიზებული. უნდა დაწესდეს ზედა ზღვარი და გადასახადების გაზრდის პროცედურა უკიდურესად გართულდეს — თითქმის რეფერენდუმის დონემდე. ისე უნდა გაკეთდეს, რომ იან კუმმა (უკრაინელი, აშშ-ში ემიგრირებული, Mesenher Whats App-ის შემქმნელი) არ წავიდეს კიევიდან, ასეთივე კომპანია აქ შექმნას, გაყიდოს აქვე თავისი 19 მილიარდი დოლარი.

ჩემი რეცეპტი: გავაუქმოთ ზედმეტი რეგულირება, შევამციროთ გადასახადები, სუბსიდიების ლიკვიდირება მოვახდინოთ, ჩავდოთ ბიუჯეტში დეფიციტის ლიმიტი, კონსტიტუციაში კი — სახელმწიფო ვალის; მოვახდინოთ ვალუტის სტაბილიზება-პრივატიზება. რაც მეტად მობილიზდება სახელმწიფო წესრიგისა და სამართლიანობის დაცვაზე, საზოგადოება კი გააკონტროლებს, ეს როგორ კეთდება, მით ძლიერი იქნება უკრაინა. ბიუროკრატია უნდა შემცირდეს. ასეთი ტესტი მოვიფიქრე: სარაკეტო დარტყმას ვაყენებთ უკრაინულ სამინისტროს, მოქალაქეებმა კი უნდა თქვან, როდის იქნება მტკივნეული. რისთვის სჭირდება უკრაინას ახალგაზრდობისა და სპორტის ან განათლების სამინისტრო? მათთვის, ვინც კითხულობდა კანონს უმაღლესი განათლების შესახებ, ყველაფერი გასაგებია... და თუ ასეთი დარტყმა მიადგება თავდაცვის სამინისტროსაც, საშიში არაა. რას იძლევა ეს სამინისტრო? — მხოლოდ შენობაა. დღეს უკრაინა ჯარზე ხარჯავს მშპ-ს რამდენიმე პროცენტს. ლოგიკური შეკითხვაა: რამდენი ფულია საჭირო, რომ ჯარი შექმნა? იგივე ისტორია აქვს შსს-აც. სად იყო მილიცია დონეცკში? — ე.ი. არ არის სხვა ქალაქებშიც! ლვოვში, „რისხვის ღამეს“, მილიციონერები დაიმალნენ და ორგანიზებულნი იყვნენ სახალხო ჯგუფები, რათა ქალაქი არ გაეძარცვათ. კერძო საუბრებში უკრაინელები ამბობენ, არ გვყავს ჯარი, მილიცია, სასამართლო. ხელისუფლება კი, უბრალოდ, იმიჯს იქმნის, თითქოს ეს ყველაფერი გვაქვს.

### პრობლემა

„არ არსებობს პრობლემის მარტივი გადაჭრის გზა, რადგან უკრაინული ელიტა არც თანახმაა და არც მზადაა ამის გასაკეთებლად. ვერ ვხედავ სურვილს, გაატაროს რადიკალური ცვლილებები. მთავრობაშიც ბევრი არაა ისეთი, ვისაც შეუძლია, არ დარჩეს ხელისუფლებაში, მით უმეტეს, ამ ურთულეს ვითარებაში. უკრაინაში ძალაუფლების წყარო ხალხია. განა, პუტინმა მოაწერა ხელი ბიულეტენს იანუკოვიჩის ნაცვლად? უკრაინელებმა ის თავად აირჩიეს. ხალხმა თავად გააბითურებინა თავი. არ მისცეთ უფლება, ისევ გაგაბითურონ! კმარა კონკრეტული ადამიანების შეცოდება. შეიცოდეთ ქვეყანა! უკრაინაში რევოლუცია არ დასრულებულა. მაჩვენებელი მარტივია: რევოლუციის დასრულებას მივყავართ ელიტის შეცვლასთან. უკრაინაში როგორი ელიტაც იყო, ისეთივე დარჩა“.

### პერსპექტივები

თუ უკრაინაში შეწყდება ბიუროკრატიული ექსპორტი და ბიზნესმენებს დრაკონული გადასახადებით აღარ შეაშინებენ, იქნება ერთადერთი ქვეყანა ევროპაში, რომელსაც ბევრი კვალიფიციური მუშახელის წყალობით, შეეძლება, დაჩრდილოს ჩინეთი და ჩინური საქონელი ევროკავშირის ბაზარზე. ევროპაში ჩინური საქონლის ექსპორტს 27 მილიონი ადამიანი ემსახურება. უკრაინაში ანაზღაურების დონე და მუშახელის კვალიფიკაცია ისეთივეა, როგორც — ჩინეთში. ევროკავშირში ჩინური ექსპორტის თუნდაც ნახევრის დასაკავებლად, საჭიროა, ამაზე ორიენტირებული 13,5 მილიონი უკრაინელი გყავდეს. უკრაინის ქალაქებში 18 მილიონი ადამიანია დასაქმებული ანუ ამოცანა ადვილი არაა, ინვესტიციებსაც ითხოვს, მაგრამ მისი განხორციელება შესაძლებელია.

# სუდოკუმანია

### ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 7 | | 5 | | 1 | | |
| | 1 | | | | 4 | 6 | | |
| 4 | | 5 | 1 | | | | | 7 |
| 1 | | 3 | 4 | | | | | |
| 9 | | 6 | | | | 4 | | 8 |
| | | | | | 5 | 3 | | 9 |
| 7 | | | | | 6 | 9 | | 2 |
| | | 4 | 9 | | | | 3 | |
| | | 8 | | 4 | | 7 | | |

### სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | 9 | | | | |
| 3 | | | | | | | 1 | 2 |
| 2 | 8 | | 1 | | 4 | 5 | | 9 |
| 1 | 3 | | | | 8 | | 7 | |
| 9 | | 8 | | | | 1 | | 5 |
| | 4 | | 6 | | | | 9 | 8 |
| 8 | | 3 | 4 | | 9 | | 2 | 7 |
| 6 | 9 | | | | | | | 1 |
| | | | | 8 | | | | |

### რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | | | | | | | 6 | |
| | | 8 | | 2 | 6 | 4 | | 7 |
| | | | 7 | | | 8 | | |
| | | 6 | | 7 | | 9 | | 2 |
| 7 | | | | 9 | | | | 8 |
| 2 | | 4 | | 3 | | 7 | | |
| | | 2 | | | 9 | | | |
| 5 | | 1 | 2 | 8 | | 6 | | |
| | 6 | | | | | | | 3 |

### ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | 7 | | | | 9 | 8 | | 1 |
| | | | | 5 | | | | |
| | | | | | 6 | 5 | | |
| | 1 | 3 | 8 | | | 4 | | 5 |
| | | | | 4 | | | | |
| 2 | | 8 | | | 5 | 7 | 3 | |
| | | 2 | 6 | | | | | |
| | | | | 8 | | | | |
| 4 | | 6 | 3 | | | | 5 | 8 |



## ნაგვის ყნოსვაში ფულს უხდიან

ამერიკის ქალაქ ნორტჰემპტონის (მასაჩუსეტსის შტატი) ადმინისტრაციამ პროფესიონალი „მყნოსველები“ დაიქირავა 600 დოლარად (საღამოს 5 საათის შემდეგ – 750 დოლარი) — კომპანია Environmental Compliance Services-ის თანამშრომლები ქალაქის ნაგავსაყრელზე გადიან და ჰაერს ყნოსავენ, მიზანი კი ერთია — უნდა შეამოწმონ ადგილობრივი მცხოვრებლების საჩივრების სამართლიანობა, რომლებიც აუტანელ, უსიამოვნო სუნზე ჩივიან. „მყნოსველები“ სურნელის ინტენსივობას რვაქულიანი შკალით აფასებენ. ადმინისტრაციის წარმომადგენლების განცხადებით, მოთხოვნა, ნაგავსაყრელზე სუნი მესამე, დამოუკიდებელ ჯგუფს შეემოწმებინა, შტატის გარემოს დაცვის სამმართველომ, მოსახლეობის საჩივრების შემდეგ წამოაყენა. იმ შემთხვევაში, თუ სპეციალისტები დაადასტურებენ ქალაქში უსიამოვნო სუნის არსებობას, შტატის ხელისუფლება ნორტჰემპტონს დააჯარიმებს ან აიძულებს, დაუყოვნებლივ გამოასწოროს ვითარება.

## სტრიპტიზიორისთვის ასაკი არ არსებობს



სტრიპტიზის ერთ-ერთ ყველაზე ცნობილი მოცეკვავე ქალი 80-ზე მეტი წლისაა, თუმცა ამის მიუხედავად, ტემპესტ სტორმი — მსოფლიოს ყველაზე ხანდაზმული მოცეკვავე, შოუებში მაინც მონაწილეობს და კვლავინდებურად აღაფრთოვანებს ადგილობრივი კაზინოებისა და კლუბების კლიენტებს. დაახლოებით 50 წლის წინ ჟღალთმიან ტემპესტს ჰოლივუდის საუკეთესო მკერდი შეარქვეს. მას შემდეგ ნიჭიერი მოცეკვავე დაუღალავად „შრომობს“, მისი ასაკის მოცეკვავეები კი დიდი ხანია „დისტანციას ჩამოცილდნენ“ ან ცოცხლები აღარ არიან. სტორმი, დანაოჭებული კანისა და პიგმენტური ლაქების მიუხედავად, ძველებურად ცეკვავს პროფესიულ სტრიპტიზს, ლას-ვეგასსა და მაიამიში გამოდის, სადაც ელიტური გასართობი დაწესებულებები მდებარეობს. როგორც ტემპესტი ამბობს, ახალგაზრდობაში ელვის პრესლის საყვარელი იყო, თუმცა, მის გარდა უამრავი მამაკაცი ჰყავდა, რომელთაგან ოთხი მისი ქმარი გახდა. მოხუცი სტრიპტიზიორი წელიწადში სულ რამდენჯერმე გამოდის სცენაზე, თუმცა, მისი თქმით, უფრო ხშირადაც შეუძლია ცეკვა, თუკი ამის აუცილებლობა იქნება. ერთადერთი, რაზეც დღეს ცოტა მეტი დრო სჭირდება, გახდაა. ტემპესტი დარწმუნებულია, რომ ასაკი სექსუალურ მიმზიდველობას ვერ აჭკნობს.

## ტაივანელებს ტუალეტის ქაღალდის მოხმარებას ასწავლიან




ტაივანის სამხრეთით, ქალაქ ტაინანში ჰიგიენის აქტიური პროპაგანდა დაიწყო. ყოველდღიურად 340 ტონა მოხმარებული ტუალეტის ქაღალდის გადამუშავებას თავი რომ აარიდონ, ქალაქის ხელისუფლება მოსახლეობას ურჩევს, ქაღალდი ნაგვის ვედროში კი არა, უნიტაზში ჩაყარონ და ჩარეცხონ. ერთი ტონა ასეთი ნაგვის გადამუშავება ტაინანის ბიუჯეტს 4600 ტაივანური დოლარი უჯდება, წელიწადში კი 600 მილიონი. ძველი ჩვევა — ქაღალდის ვედროში ჩაგდება, აუარესებს ქალაქის სანიტარულ პირობებს, — აცხადებენ ტაინანის მერიაში. მოსახლეობას კი ქაღალდის უნიტაზში ჩაგდება იმ მიზეზით არ უნდა, რომ ეშინია, არ გაიჭედოს და მილები არ გახდეს შესაცვლელი, რაც აქ საკმაოდ ხშირია.

## წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

### ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | 8 | 6 | 3 | 9 | 5 | 4 | 2 | 1 |
| 3 | 5 | 9 | 4 | 2 | 1 | 8 | 7 | 6 |
| 4 | 2 | 1 | 8 | 7 | 6 | 5 | 9 | 3 |
| 1 | 4 | 3 | 7 | 8 | 2 | 6 | 5 | 9 |
| 6 | 9 | 2 | 5 | 4 | 3 | 7 | 1 | 8 |
| 8 | 7 | 5 | 6 | 1 | 9 | 3 | 4 | 2 |
| 5 | 1 | 8 | 2 | 6 | 7 | 9 | 3 | 4 |
| 9 | 3 | 4 | 1 | 5 | 8 | 2 | 6 | 7 |
| 2 | 6 | 7 | 9 | 3 | 4 | 1 | 8 | 5 |

### სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | 3 | 4 | 1 | 9 | 5 | 2 | 8 | 7 |
| 5 | 7 | 2 | 8 | 6 | 3 | 4 | 1 | 9 |
| 1 | 9 | 8 | 4 | 7 | 2 | 6 | 3 | 5 |
| 8 | 2 | 3 | 7 | 5 | 1 | 9 | 6 | 4 |
| 9 | 6 | 5 | 2 | 4 | 8 | 3 | 7 | 1 |
| 4 | 1 | 7 | 9 | 3 | 6 | 5 | 2 | 8 |
| 7 | 8 | 6 | 5 | 2 | 4 | 1 | 9 | 3 |
| 3 | 5 | 1 | 6 | 8 | 9 | 7 | 4 | 2 |
| 2 | 4 | 9 | 3 | 1 | 7 | 8 | 5 | 6 |

### ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8 | 7 | 6 | 5 | 2 | 4 | 3 | 1 | 9 |
| 5 | 4 | 3 | 1 | 9 | 8 | 7 | 6 | 2 |
| 9 | 2 | 1 | 7 | 6 | 3 | 8 | 5 | 4 |
| 1 | 6 | 5 | 4 | 8 | 7 | 9 | 2 | 3 |
| 4 | 3 | 2 | 9 | 5 | 1 | 6 | 8 | 7 |
| 7 | 9 | 8 | 6 | 3 | 2 | 5 | 4 | 1 |
| 6 | 1 | 4 | 3 | 7 | 5 | 2 | 9 | 8 |
| 3 | 8 | 9 | 2 | 1 | 6 | 4 | 7 | 5 |
| 2 | 5 | 7 | 8 | 4 | 9 | 1 | 3 | 6 |

### სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5 | 4 | 1 | 7 | 8 | 9 | 6 | 3 | 2 |
| 3 | 7 | 6 | 2 | 5 | 1 | 9 | 8 | 4 |
| 8 | 2 | 9 | 6 | 3 | 4 | 7 | 5 | 1 |
| 2 | 1 | 5 | 9 | 7 | 8 | 4 | 6 | 3 |
| 7 | 3 | 4 | 1 | 2 | 6 | 5 | 9 | 8 |
| 6 | 9 | 8 | 5 | 4 | 3 | 2 | 1 | 7 |
| 4 | 8 | 7 | 3 | 9 | 5 | 1 | 2 | 6 |
| 9 | 6 | 3 | 4 | 1 | 2 | 8 | 7 | 5 |
| 1 | 5 | 2 | 8 | 6 | 7 | 3 | 4 | 9 |

### რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | 9 | 8 | 7 | 5 | 4 | 2 | 3 | 1 |
| 5 | 4 | 2 | 3 | 1 | 6 | 9 | 8 | 7 |
| 3 | 7 | 1 | 2 | 9 | 8 | 4 | 6 | 5 |
| 8 | 3 | 6 | 5 | 2 | 1 | 7 | 9 | 4 |
| 2 | 5 | 9 | 8 | 4 | 7 | 3 | 1 | 6 |
| 7 | 1 | 4 | 9 | 6 | 3 | 5 | 2 | 8 |
| 1 | 6 | 5 | 4 | 3 | 2 | 8 | 7 | 9 |
| 9 | 8 | 3 | 6 | 7 | 5 | 1 | 4 | 2 |
| 4 | 2 | 7 | 1 | 8 | 9 | 6 | 5 | 3 |

### ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4 | 5 | 6 | 3 | 2 | 1 | 9 | 8 | 7 |
| 9 | 7 | 1 | 6 | 8 | 5 | 4 | 3 | 2 |
| 3 | 2 | 8 | 9 | 7 | 4 | 6 | 1 | 5 |
| 5 | 8 | 2 | 1 | 9 | 3 | 7 | 6 | 4 |
| 1 | 6 | 9 | 5 | 4 | 7 | 3 | 2 | 8 |
| 7 | 4 | 3 | 2 | 6 | 8 | 5 | 9 | 1 |
| 2 | 3 | 7 | 4 | 1 | 9 | 8 | 5 | 6 |
| 8 | 1 | 5 | 7 | 3 | 6 | 2 | 4 | 9 |
| 6 | 9 | 4 | 8 | 5 | 2 | 1 | 7 | 3 |

### რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 9 | 7 | 4 | 3 | 8 | 6 | 5 | 2 |
| 6 | 8 | 5 | 2 | 1 | 9 | 7 | 4 | 3 |
| 4 | 3 | 2 | 7 | 6 | 5 | 8 | 1 | 9 |
| 3 | 1 | 6 | 8 | 7 | 4 | 2 | 9 | 5 |
| 2 | 7 | 4 | 9 | 5 | 1 | 3 | 8 | 6 |
| 9 | 5 | 8 | 6 | 2 | 3 | 4 | 7 | 1 |
| 7 | 6 | 9 | 1 | 8 | 2 | 5 | 3 | 4 |
| 8 | 4 | 3 | 5 | 9 | 6 | 1 | 2 | 7 |
| 5 | 2 | 1 | 3 | 4 | 7 | 9 | 6 | 8 |

### ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 3 | 7 | 9 | 2 | 5 | 8 | 1 | 6 | 4 |
| 2 | 1 | 6 | 4 | 3 | 7 | 9 | 8 | 5 |
| 8 | 5 | 4 | 1 | 6 | 9 | 7 | 3 | 2 |
| 1 | 9 | 5 | 3 | 8 | 4 | 2 | 7 | 6 |
| 6 | 8 | 7 | 5 | 2 | 1 | 4 | 9 | 3 |
| 4 | 3 | 2 | 9 | 7 | 6 | 5 | 1 | 8 |
| 9 | 6 | 8 | 7 | 4 | 5 | 3 | 2 | 1 |
| 7 | 4 | 3 | 8 | 1 | 2 | 6 | 5 | 9 |
| 5 | 2 | 1 | 6 | 9 | 3 | 8 | 4 | 7 |

მე-10 გვერდი: 1. ჩოხატაური; 2. მგოსანი; 3. ჩინეთი; 4. ხანძთა; 5. ტრიო; 6. „გველის მჭამელი“; 7. სიდედრი; 8. ნომი; 9. ანონსი; 10. „ურმული“; 11. ავსტრალია; 12. ემდემი; 13. „აიაქსი“; 14. ფიგარო; 15. თუთა; 16. ავარია; 17. ადლი; 18. რიფი; 19. ბიუსტი; 20. სიმენსი; 21. იანი; 22. ქვა; 23. მაია; 24. „სილა“; 25. ლირა; 26. თრია; 27. ადა; 28. ნერუ; 29. რობოტი; 30. პინო; 31. კობრა; 32. კაიმანი; 33. ელი; 34. „აბბა“; 35. მედეო; 36. ოპოსუმი; 37. ოტელი; 38. ბროკოლი; 39. ინარი; 40. ცოი; 41. იაიკი; 42. რძე; 43. ტიტესტერი; 44. ატა; 45. ნაკაშიძე; 46. უტოპია; 47. სან; 48. ლა მანში; 49. ინტიმა; 50. ურა; 51. იგავი; 52. იეტი; 53. ოლე; 54. მაცა; 55. ტაიბეი; 56. ლუსაკა; 57. ავაზაკი; 58. ურიკა; 59. ორტი; 60. სმიტი; 61. ზიგოტა; 62. ემა; 63. უზი; 64. ზენია; 65. ნო; 66. განა; 67. ეტა; 68. დასი; 69. „ლელო“; 70. „ნივეა“; 71. კოკი; 72. შერი; 73. არე; 74. ომი; 75. ინა; 76. შუ; 78. ძაბუტონი; 79. აკორდეონი; 80. პინა; 81. კაბარე; 82. ამინ; 83. ჩირგაძე; 84. ფრუ; 85. ძუ; 86. პკე.

1. გადაჭარბებული გულჩვილობა, ზედმეტი გრძნობიერება
2. ვისიმე პირისპირ მჯდომი ვინმე
3. ჭაბუა ამირეჯიბის ნამდვილი სახელი
4. ფრინველებზე მკითხავი ძვ.რომში
5. ერითროციტის მთავარი შემადგენელი ელემენტი



6. დიდი ბანჯგვლიანი ძაღლი
7. ყვავილის მამრობითი ვეგეტაციური ორგანო
8. რუსული თვითმფრინავის მარკა
9. ცხენი-რემი
10. მუსიკოსი ოზი ...
11. თივის დიდი გროვა
12. მუსლიმთა წმინდა ქალაქი
13. თებეს მეფე, ოიდიპოსის მამა
14. აზროვნების უნარი, გონება
15. უძველესი შუმერული ქალაქი
16. ორთქლის მანქანის გამომგონებელი
17. თავდავიწყების მდინარე ბერძ. მით
18. წვრილი ნაწლავის ნაწილი
19. ქრისტიანთა „საღვთო“ წიგნების კრებული
20. წესრიგის ქალღმერთი ეგვიპტურ მითოლ.
21. საღამოს წვეულება
22. რუსეთის ეროვნული ვალუტა
23. მოძრ. გადამცემი მბრუნავი ღერო
24. კურორტი ბაღდათის რაიონში
25. ფრანგი ფეხბურთელი
26. საბერძნეთის კუნძული
27. დიაოხის სამეფოს დედაქალაქი
28. მეფე ლომი მულტფილმიდან
29. ჰომეროსის ერთ-ერთი პოემა
30. იგივეა, რაც ოქრომჭედელი
31. ვულკანი სიცილიაზე
32. ბელგიელი მევიოლინე
33. მცირე მუსიკალური კოლექტივი
34. თურქეთის დედაქალაქი
35. რკინის და ნიკელის შენადნობი
36. სამეურნეო მუშაკი
37. რომის პაპის გვირგვინი
38. პარფიუმერიაში ხმარებული მცენარე
39. შლამის თევზი
40. უნგრელი კომპოზიტორი
41. იგივეა, რაც გაზი
42. სამოქალაქო აქტიურობის საერთაშ. ორგანიზაცია
43. ნ. ბარათაშვილის „... ქართლისა“
44. ქალაქის ტიპის დასახლება
45. მეფე დავით VII-ის მეტსახელი
46. საქართველოს მგოსანი
47. დროის დიდი მონაკვეთი, ეპოქა
48. ალტაცების შეძახილი იაპონიაში
49. მუსლიმანთა იურისტ-ღვთისმეტყველი, ყურანის განმმარტებელი
50. აშშ-ის ტელეპრემია
51. რომის პაპის ბრძანებულება
52. ტრიგონომეტრიული ფუნქცია
53. წარსულში ცნობილი ნორვეგიელი ფეხბურთელი
54. მოუხარშა-ვი ან შეუწველი
55. ქალაქი იაპონიაში
56. მექანიკური „ადამიანი“
57. კომპოზიტორი ... ყანჩელი
58. ფრანგ მეფეთა სახელი
59. მეცნ. „მფრინავი თეფშების“ შესახებ
60. „ჩაის პრინცესა“
61. ოტელოს მტერი
62. მარნის პატრონი „ღვინის ქურდებში“
63. თბილისის გარეუბანი
64. მილა იოვოვიჩის კინოროლი
65. „ნისანის“ მოდელი
66. ნ. ნოსოვის ზღაპრების პერსონაჟი



# ორთქლი საკვებს შეცვლის

ბრიტანელმა კონდიტერმა ჩარლი ფრენსისმა კიდევ ერთხელ შეძლო მსოფლიოს გაოცება: შექმნა აპარატი, რომლის დახმარებითაც საჭმელად ვარგის ორთქლს იღებს, თანაც ნებისმიერი საკვებიდან და განსხვავებული გემოთი. შეგახსენებთ, რომ ჩარლის წინა გამოგონება ნაყინია ვიაგრათი. როგორც მედია იუწყება, ორთქლისგან მომზადებული კერძები საერთოდ არ შეიცავს კალორიებს და ამასთან, პროდუქტის გემოს ინარჩუნებს. ფრენსისის განცხადებით, მისი ნოუ-ჰაუს აზრი ისაა, რომ ადამიანებმა სასურველი საკვები მიიღონ და თან არ გასუქდნენ. ამ განსაკუთრებულ აპარატს შეუძლია, შექმნას ორთქლი ბეკონის, პოპკორნის, ღვეზელის... არომატით. ფრენსისი საკუთარ ქმნილებას 5 ათას გირვანქა სტერლინგად აფასებს (8400 დოლარი).

Appraisal.llc

შპს „აპრაისალი“ გთავაზობთ,

უძრავი და მოძრავი ქონების შეფასებას

ალექსანდრე ფურცელაძე
მისამართი: ნუცუბიძის №16ა
ტელ.: (5)99 22 98 33
ელ-ფოსტა: a.purtseladze@gmail.com

# ძაღლებს ყეფა აუკრძალეს

ნიუ-ჯერსის შტატში, ქალაქ კლიპტონში ადგილობრივმა ხელისუფლებამ ძაღლის ყეფაზე შეზღუდვა დააწესა: ამიერიდან, „ხმაურიან“ ძაღლებად ისინი ჩაითვლებიან, ვინც დღის განმავლობაში ნახევარ საათზე მეტ ხანს იყეფებს, საზოგადოებრივი წესრიგის „დამრღვევი“ ძაღლის პატრონები კი ამის გამო 250 დოლარით დაჯარიმდებიან. როგორც ქალაქის ადმინისტრაციაში აცხადებენ, ხმაურის შესახებ კანონი, რომელიც „მყეფარე“ ძაღლებს ეხება, უკვე დიდი ხანია არსებობს, თუმცა რეალობაში დანერგვა არც ისე ადვილი აღმოჩნდა — 2006 წლიდან დღემდე კლიპტონის ჯანდაცვის სამინისტრომ ხმაურიანი ძაღლების პატრონებს მხოლოდ 11 გაფრთხილება გაუგზავნა.




# ლოთობა სიცოცხლეს ახანგრძლივებს

ერთ-ერთ ამერიკულ ჟურნალში, რომელიც ალკოჰოლიზმის პრობლემებზე წერს, ცოტა ხნის წინ სამეცნიერო კვლევის შედეგი დაიბეჭდა, რომელმაც პლანეტის „ფხიზელი“ მოსახლეობა შოკში ჩააგდო.



ამერიკელი სწავლულების დასკვნით, თურმე, ლოთები არამსმელებზე მეტხანს ცოცხლობენ. მკვლევარები 20 წლის განმავლობაში აკვირდებოდნენ 55-65 წლის 1824 მოხალისეს. კვლევის განმავლობაში გარდაიცვალა არამსმელთა 67%, სასმელის მოყვარულთა 60% და ზომიერი დალევის მომხრეების 41%. ვინც დღეში ერთ-ორ ჭიქა ღვინოს მიირთმევს, იუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას და უმცირდება გულის დაავადებათა განვითარების რისკი.

# სუდოკუმანია

### ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 9 | | | | | 5 | 4 | | |
| 4 | | | | 7 | | | 6 | |
| 6 | 5 | | 4 | | 8 | | | |
| 2 | 6 | 5 | | | | | | 7 |
| | | | | 8 | | | | |
| 1 | | | | | | 2 | 4 | 3 |
| | | | 5 | | 1 | | 7 | 9 |
| | 1 | | | 3 | | | | 2 |
| | | 3 | 6 | | | | | 4 |

### სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | 1 | | | | 7 |
| | 9 | 8 | | 4 | 3 | | | |
| | 5 | 2 | 7 | | 8 | | | |
| | 3 | | | | | | 9 | 6 |
| | | | | | | | | |
| 4 | 2 | | | | | | 1 | |
| | | | 9 | | 6 | 2 | 7 | |
| | | | 1 | 7 | | 3 | 6 | |
| 3 | | | | 8 | | | | |

### რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4 | | | | 5 | 2 | | | 9 |
| 1 | | | | 7 | | | 3 | |
| | | | 1 | | | 4 | | |
| | 9 | | | | | | | 3 |
| 7 | | 8 | 9 | | 3 | 2 | | 1 |
| 3 | | | | | | | 9 | |
| | | 7 | | | 6 | | | |
| | 6 | | | 8 | | | | 5 |
| 9 | | | 4 | 1 | | | | 6 |

### ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | 1 | | 7 | 6 |
| 8 | | | | 7 | | | | |
| | 9 | | | | 3 | | 4 | |
| | | | | | 9 | 6 | | 1 |
| 2 | | | | 6 | | | | 5 |
| 7 | | 6 | 2 | | | | | |
| | 2 | | 5 | | | | 6 | |
| | | | | 9 | | | | 3 |
| 5 | 4 | | 1 | | | | | |

## „გაზიანი კოფეინი" ტვინს აზიანებს



შვეიცარელი მეცნიერები განგაშს ტეხენ: კოფეინი, რომელსაც გაზიანი სასმელი შეიცავს, მოზარდებში ტვინის განვითარებას აფერხებს, რადგან ძილს უშლის ხელს. მუდმივი გამოუძინებლობის შემთხვევაში კი იზრდება შიზოფრენიის, შიშისა და სხვადასხვა აშლილობის რისკი. სპეციალისტებმა ექსპერიმენტი მღრღნელებზე ჩაატარეს, მიღებულმა შედეგებმა კი სწავლულები მეტად შეაშფოთა. მოზარდები, რომლებიც ყოველდღიურად მიირთმევენ ოთხ ქილა გაზიან სასმელს ან ოთხ ფინჯან ყავას, რისკის ჯგუფში ხვდებიან — მათ ძილის დაბალი მაჩვენებელი და ტვინის განვითარების ნელი ტემპი აღენიშნება. სტატისტიკის მიხედვით, ბოლო 30 წლის განმავლობაში ბავშვებისა და მოზარდების მიერ კოფეინის მოხმარება 70%-ით გაიზარდა. ბაზარზე ახალ-ახალი მატონიზირებელი სასმელი გამოდის, რაც უმალ ხდება პოპულარული, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ ჯანმრთელობისთვის საშიშია და სჯობს, მათი მოხმარებისგან თავი შევიკავოთ, — გვირჩევენ მეცნიერები.

## ზედმეტი წონა სიცოცხლეს ახანგრძლივებს



ამერიკელმა მკვლევარებმა ოჰაიოს უნივერსიტეტიდან დაამტკიცეს, რომ ზედმეტი წონა სიცოცხლეს ახანგრძლივებს. მართალია, სიმსუქნე კვლავ საშიშ დაავადებად რჩება, მაგრამ, თუ 50 წლის ასაკში ადამიანს ზედმეტი კილოგრამები აქვს, ეს აძლევს შანსს, 15 წლით მეტი იცოცხლოს თანატოლებთან შედარებით, რომელთაც იდეალური წონა აქვთ. მეცნიერები ამ მოვლენას სტაბილურობით ხსნიან. ადამიანები, რომლებიც მუდმივად წონის კორექციით არიან დაკავებულები, ორგანიზმს სტრესის ქვეშ აყენებენ, რასაც ვერ ვიტყვით მათზე, ვინც სტაბილურ წონას ინარჩუნებს. რისკის ჯგუფში რჩებიან ისინი, ვინც ასაკთან ერთად წონაში მატებას განაგრძობს. ექსპერიმენტისას, რომელიც 18 წელს გრძელდებოდა, სწავლულები 10 ათას ჯანმრთელ ადამიანს აკვირდებოდნენ. ამასთან, რეგულარულად ზომავდნენ მათი სხეულის მასის ინდექსს. ასე, ექსპერიმენტში მონაწილეთა 7,2%-ში აღინიშნა სერიოზული დაავადებები და სიკვდილის შემთხვევებიც, რაც გამოწვეული იყო როგორც სიმსუქნით, ასევე წონაში თანდათან მატებით. იმ მონაწილეებში კი, რომლებიც ცდილობდნენ, ცოტა ზედმეტი, მაგრამ სტაბილური წონა შეენარჩუნებინათ, გაცილებით ნაკლები იყო როგორც ავადობის, ასევე სიკვდილიანობის მაჩვენებელიც.

## კაკალი სისხლძარღვებისთვის სასარგებლოა



ყოველდღიურ რაციონში კაკლის შეტანა ხელს უწყობს სისხლძარღვების კედლების განმტკიცებას ჭარბწონიან ადამიანებში. ამასთან, არ იწვევს წონის მატებას, — ასეთი დასკვნები გრიფინის ჰოსპიტლის მკვლევარებმა დადეს. სწავლულების განცხადებით, ვიტამინების ხარჯზე, კაკალს ორგანიზმიდან ტოქსინები გამოაქვს და საკმაოდ ნოყიერია. თუკი ნიგოზს ყოველდღიურ რაციონში ჩავრთავთ, დროთა განმავლობაში ორგანიზმიდან მავნე პროდუქტი გამოიდევნება. ასეთი შედეგები მკვლევარებმა ექსპერიმენტის შედეგად მიიღეს, რომელშიც 30-დან 75 წლამდე ასაკის 45 მოხალისე მონაწილეობდა, მათი სხეულის მასის ინდექსი კი 25-ს აჭარბებდა, ანუ ჭარბწონიანები იყვნენ. ისინი არ ეწეოდნენ და მეტაბოლურ გადახრას უჩიოდნენ, ასევე ჰქონდათ დიაბეტი, გულსისხლძარღვთა დაავადებები. მოხალისეები ორ ჯგუფად დაყვეს. პირველის წევრები მიირთმევდნენ იმას, რაც მოესურვებოდათ, მეორე ჯგუფი კი, კვების პარალელურად, დღეში 56 გრამ კაკალს იღებდა. შედეგად ამ ჯგუფის წევრებს გაუუმჯობესდა ენდოტელიუმის (უჯრედების ფენა, რომელიც ქმნის სისხლისა და ლიმფის კაპილარების კედლებს, არტერიებს, ვენებისა და გულის კედლის შიდაშრეს) მუშაობა და მიუხედავად ნიგვზის კალორიულობისა, წონაშიც არ მოუმატიათ.

## შვილის სიმსუქნის გამო მშობლები დააპატიმრეს



ქალაქ ნორფოლკის პოლიციამ 15 წლის მოზარდის მშობლები დააკავა — მათ შვილის ჯანმრთელობისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულებაში დასდეს ბრალი. ბიჭის სიმაღლე 154 სანტიმეტრია, მისი წონა კი უკვე 105 კილოგრამს შეადგენს. ინგლისური კანონების მიხედვით, ეს ბავშვის მიმართ სასტიკ მოპყრობად მიიჩნევა და მშობლებს ამის გამო სისხლის სამართლის პასუხისგება მოუწევთ, თუმცა ისინი არ აღიარებენ ბრალს და აცხადებენ, რომ ბიჭის მიმართ ყურადღებას იჩენენ, ზედმეტი წონა კი გენების ბრალია. ყოველთვის მსუქანი იყო, ასეთი დაიბადა. ჩემს სანათესაოშოც თითქმის ყველა ასეთია და ამას ვერაფერს ვუხერხებთ, — განაცხადა მოზარდის მამამ; დედა კი ამბობს, რომ შვილის საყვარელი საჭმელი ორთქლზე მომზადებული ბროკოლია, მაგრამ არც ამან უშველა წონაში დასაკლებად. სტატისტიკური მონაცემებით, დიდ ბრიტანეთში, შარშან, 2-დან 15 წლამდე ასაკის ბავშვების 28%-ს ჭარბი წონა აღენიშნებოდა.

## მწვანე ჩაი კაცებს აჭკვიანებს



სწავლულებმა დაადგინეს, რომ მწვანე ჩაი მამაკაცის გონებრივ შესაძლებლობებს აუმჯობესებს. კვლევაში ძლიერი სქესის 12 წარმომადგენელი მონაწილეობდა — დღეში 2 ფინჯანი მწვანე ჩაი უნდა დაელიათ. აღმოჩნდა, რომ ვინც ამ სასმელს მიირთმევდა, გაუუმჯობესდა მეხსიერება და ინფორმაციის აღქმის უნარი. მწვანე ჩაი დადებითად მხოლოდ მამაკაცებზე არ მოქმედებს, ის მშვენიერი სქესისთვისაც სასარგებლოა. მკვლევარებმა დაადგინეს, რომ ეს სასმელი, ლიმნითა და თაფლით, ხელს უწყობს მკერდის ზრდას.

ტელეკომპანია ,,თრიალეთი"
რეკლამა ,,თრიალეთზე"
დაგვიკავშირდით
032 239 38 23
599 25 13 31
www.trialeti.ge
trialeti@trialeti.ge
თბილისი:
ნუცუბიძის ქ. N12/1




1. „ქურდობა“ ხელოვნებაში
2. ცნობილი არგენტინელი მწერალი ხორხე ლუის ...
3. წყლის სიღრმეში მცხოვრებ ორგანიზმთა ერთობლიობა
4. არტემიდეს ტყუპისცალი ძმა
5. ალეგორიული ლექსი
6. საბერძნეთის საფეხბურთო კლუბი
7. გმირი ცხრა ძმის გვარი
8. უკურკო ქიშმიშის სახეობა
9. ბუდისტური საკულტო ნაგებობა
10. ჩიპოლინოს ლიტერატურ. „მამა“
11. ხელმძღვ. პირი საკუთარი კაპიტალის გარეშე
12. იესოს დატირების სცენა ხელოვნებაში
13. დიდი თევზსაჭერი ბადე
14. ორსულობის ხელოვნურად შეწყვეტა
15. ქიმიური ელემენტი, ლითონი
16. ველური კომში
17. ძვირფასბეწვიანი ცხოველი
18. გეოგრაფიული რუკების კრებული
19. პატარა სარწყავი არხი
20. ძვ. ფრან. ხურდა ფული
21. სკანდინაველთა უზენაესი ღმერთი
22. ქართული ანბანის პირველი ასო
23. იგივეა, რაც კოპიტი
24. იაპონელი მწერალი ... აკუტაგავა
25. წამლის ბურთულა
26. ავადმყოფური გამონაზარდი ხეზე
27. შეძახილი კავკასიურ ცეკვებში
28. კავკასიის მთიელთა სოფელი
29. ღვინის გამყიდველი
30. ქვედა კიდური
31. თურქეთის საფეხ. კლუბი
32. მუნდიალი 2014-ის ბურთი
33. მიმართვა ფრანგი მამაკაცისადმი
34. დიდი ფიგურული შანდალი
35. საფრანგეთის საფეხბურთო კლუბი
36. ალ. დიუმას „... წლის შემდეგ“
37. წვრილი ჩხირი
38. თვითმფრინავების სადგომი
39. შიშველი სხეული ფერწერაში
40. დაავადების განვითარების უმაღლესი მწვერვალი
41. ფრანგი მწერალი ემილ ...
42. ინდური კობრა
43. ლითონის ფული თურქეთში
44. თიხის ფლეიტა
45. პოსეიდონის ცოლი
46. სესილიას კინოროლი „დათა თუთაშხიაში“
47. წყალსაცავი რაჭაში
48. ის, სადაც მოკლეს პუშკინი
49. ფრანგი მსახიობი ... ემე
50. „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟი ქალი
51. მუხის ნაყოფი
52. საქართველოს უმაღლესი მწვერვალი
53. ხელოვნების დარგი
54. მოაჯირის რიკულებზე გადებული ძელი
55. უძველესი სახელმწიფო თურქმენეთის ტერიტორიაზე
56. სასახლე ძველ ქართულში
57. ყველაზე პატარა თითი
58. მიმართვა ინგლისელი ქალიშვილისადმი
59. ბიბლიური მოსეს ძმა
60. პირველი კლონირებული ცხვრის სახელი
61. ილიონის მეორე სახელი
62. თხების ჯოგი
63. ბარონ მიუნჰაუზენის ლიტერატურული „მამა“
64. მიწაში ამოთხრილი ადგილი
65. საზოგადოების რჩეული ნაწილი
66. გოჩა მანველიძის რომანი
67. ოხერი, ვერანი, უპატრონო
68. იგივეა, რაც გაზი
69. ამერიკული ავტომარკა
70. კუნძულ კრეტას უმაღლესი მთა
71. მრავალსიმიანი საკრავი
72. წყალქვეშა ჭურვი
73. ლომების ან ვეფხვების ოჯახი
74. მწერალი ედგარ ... პო
75. ტკივილის გამომხატველი შორისდებული
76. ხორცის უძვლო ნაჭერი
77. „ზაგარი“ ქართულად
78. ვაჟა-ფშაველას მოთხრობა
79. მეცნიერება ზნეობის, მორალის შესახებ
80. უსინათლოთა შრიფტის ავტორი
81. შუშანიკის მაზლი
82. მხედველობის გაორება
83. შოუ „..., სად, როდის?“
84. ჯეიმს კემერონის ფანტასტიკური ფილმი
85. სამი წერტილი კამათელზე
86. მდინარე რუსეთის ჩრდილოეთში
87. მდინარე ყვარელში
88. კოლუმბის ერთ-ერთი ხომალდი



# ინფექცია ინტელექტს აქვეითებს

ამერიკელმა მეცნიერებმა ჰიპოთეზა წამოაყენეს, რომლის მიხედვითაც, ადამიანის ინტელექტზე გავლენის მქონე ფაქტორებს შორის მთავარ ადგილს ინფექციური დაავადებები იკავებს. გამოკვლევის დროს ექსპერტები აშშ-ს ათი შტატის მცხოვრებთა ჯანმრთელობასა და მათ ინტელექტის დონეს ადარებდნენ. შედეგებმა აჩვენა, რომ ამ შტატებიდან ყველაზე „ჭკვიანებში“ ჯანმრთელი ადამიანები ცხოვრობენ, იქ კი, სადაც ინტელექტის დონე ყველაზე დაბალი იყო, აღმოჩნდა, რომ ადგილობრივები ხშირად ავადდებიან ინფექციური დაავადებებით. კიდევ ერთი გამოკვლევის მიხედვით სწავლულებმა დაადგინეს, რომ ბავშვებს, რომელთაც ნაწლავის ჭიები ჰყავთ, მომავალში შედარებით დაბალი ინტელექტი აქვთ, ვიდრე მათ ჯანმრთელ თანატოლებს. მკვლევარები ამას იმით ხსნიან, რომ ინფექციური დაავადებები ორგანიზმს ტვინის განვითარებისთვის აუცილებელ ენერგიას ართმევს.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
რუსუდან შელია, გიორგი იაშვილი, მერაბ ბერიძე.
სტილისტი: ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები.
რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება.
სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.